# საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 150 (170) ხუთშაბათი, 1 აგვისტო, 1991 წელი ფასი 10 კაპიკი

# სომხეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ლევონ ტერ-პეტროსიანისა და საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას პრესკონფერენცია

სომეხი და ქართველი ჟურნალისტებისათვის 1991 წლის 27 ივლისს

**ლევონ ტერ-პეტროსიანი:** ეს-ეს არის ხელი მოვაწერეთ ხელშეკრულებას სომხეთისა და საქართველოს ურთიერთობის შესახებ. ვაპირებთ გავაღრმაოთ და გავაძლიეროთ საუკუნეთა მანძილზე ცნობილი კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობანი ჩვენს ხალხებსა და სახელმწიფოებს შორის. ოდითგანვე ცნობილია, რომ ამ თანამშრომლობას, ამ მეგობრობას დიდი ხნის ტრადიციები აქვს, რომლებსაც ჩვენი ხალხები სათუთად უფრთხილდებიან. მინდა ჯანმრთელობა ვუსურვო საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას, ქართველ და სომეხ ხალხებს. ჩვენ გვაერთიანებს დიდი მეგობრობა, მინდა ვუსურვო ჯანმრთელობა და სიკეთე საქართველოში მცხოვრებ იმ სომხებს, რომლებსაც თავიანთი შრომით და გულმოდგინებით კეთილი წვლილი შეაქვთ მისი ეკონომიკის განმტკიცებაში. აქ მცხოვრები სომხები — საქართველოს ნამდვილი მოქალაქენი არიან, და მათ პატივი უნდა სცენ მისთვის დამახასიათებელ ტრადიციებს. გამოვთქვამ რწმენას, რომ ჩვენი სახელმწიფოები და ხალხები ამრავლებენ თანამშრომლობისა და სიყვარულის ტრადიციებს, რომლებსაც ვასრულებდით ისტორიული განვითარების ხანგრძლივი გზის მთელი დროის განმავლობაში.

**კითხვა: ბატონო ტერ-პეტროსიან, რა მიზანს ისახავს თქვენი ჩამობრძანება საქართველოში? და მეორე — ნიშნავს თუ არა თქვენი ჩასვლა ნოვო-ოგარიოვოში, როგორც ამას მიხეილ გორბაჩოვის სიტყვები მოწმობს, სომხეთის განზრახვას ხელი მოაწეროს ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას? თქვენ ეს უარყავით, მაგრამ ვის დავუჯეროთ? რას ვუპასუხოთ ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე? და კითხვა საქართველოს პრეზიდენტს: ბატონო ზვიად, როგორ განვითარდება სომხეთისა და საქართველოს ურთიერთობა?**

**ლევონ ტერ-პეტროსიანი:** თქვენ სამი შეკითხვა დამისვით. პირველს, ვფიქრობთ, უკვე ვუპასუხე. საქართველოში, თბილისში ჩემი ჩამოსვლის მიზანი იყო სომხეთისა და საქართველოს თანამშრომლობის ძირითადი პრინციპების თაობაზე ხელშეკრულების დადება. ჩვენ სოლიდური, მტკიცე საძირკველი ჩავუყარეთ ორ თავისუფალ სახელმწიფოს შორის შემდგომ ნაყოფიერ, ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობას. ეს პირველი. მეორე. ნოვო-ოგარიოვო. მოგეხსენებათ ჩემი პრაქტიკა: არასოდეს უარი არ მითქვამს ფედერაციის საბჭოს სხდომებში მონაწილეობაზე, არასოდეს ხელოვნურად არ გამიმწვავებია ვითარება არც ცენტრთან, და არც სხვა რესპუბლიკებთან. ჩვენ ვიცით ჩვენი საქმე, მტკიცედ დავადექით დამოუკიდებლობის გზას, გამოვაცხადეთ მისი მიღწევის პროცესი და მტკიცედ ვადგავართ საკუთარ გეზს. მაგრამ ამასთანავე არ გვინდა ხელოვნური კონფრონტაცია არც ერთ პარტნიორთან. ყოველთვის ვცდილობთ ნორმალური პარტნიორული ურთიერთობანი გვქონდეს როგორც ცენტრთან, ისე ყველა დანარჩენ რესპუბლიკასთან.

როგორც ცნობილია, ამას წინათ სსრ კავშირის უზენაესმა საბჭომ მიმართა ექვს რესპუბლიკას, რომლებმაც განაცხადეს, რომ სურთ გამოსვლა სსრ კავშირის შემადგენლობიდან, გამოენახათ რაღაც მისაღები ფორმები ცენტრთან და სხვა რესპუბლიკებთან თანამშრომლობის ტრადიციების შესანარჩუნებლად. და მართლაც, გვესმის, რომ დამოუკიდებლობა ერთი მომენტის, ერთი წუთის აქტი არ არის, ეს პროცესია. ვვარაუდობთ, რომ, რაკი სომხეთმა აირჩია დამოუკიდებლობის მიღწევის გზა საბჭოთა კანონებისა და საბჭოთა კონსტიტუციის ფარგლებში, ამიტომ საჭიროა ხუთწლიანი გარდამავალი პერიოდი, მაშასადამე, უნდა გამოიძებნოს გარდამავალი პერიოდის ამ ხუთი წლის გამოყენების რაღაც ფორმები. ეს ის პერიოდია, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს განვსაზღვროთ ურთიერთობა ცენტრთანაც და რესპუბლიკებთანაც; შევქმნათ დამოუკიდებლობის რეალური წინამძღვრები. ჩვენ არ გამოვრიცხავთ არავითარ ფორმას, ვთქვათ, მომავალ კავშირში სომხეთის ასოცირებულ წევრობასაც. ჩვენ იმასაც კი არ გამოვრიცხავთ, რომ სომხეთმა ხელი მოაწეროს სამოკავშირეო ხელშეკრულებას გარდამავალი პერიოდისათვის. ეს ვარიანტები ჯერ კიდევ იხილება, ვერ ვიტყვი, თითქოს ისინი მისაღები იყოს ცენტრისთვის, მაგრამ დიდი ყურადღებით იხილავს ასეთ ვარიანტებსაც. აი ყველაფერი ის, რის თქმაც შემიძლია. და მესამე. როგორ შეაფასა გორბაჩოვმა ეს ვიზიტი? სხვადასხვაგვარად. წაიკითხე „იზვესტიაში", სადაც მან ზუსტად ასახა ჩვენი პოზიცია ამ შეხვედრაზე. იქ ვთქვი: სომხეთის დამოკიდებულება მომავალი კავშირისადმი გაირკვევა მხოლოდ რეფერენდუმის შემდეგ, რომელიც 21 სექტემბერს გაიმართება.

**ზვიად გამსახურდია:** სომხეთთან ურთიერთობა ყოველთვის მეგობრული იყო. სერიოზული წინააღმდეგობანი, სერიოზული კონფლიქტები ჩვენ არ გვქონია. და თუ ყოფილა გაუგებრობის ცალკეული ფაქტები, ყველაფერი ეს მოგვარდება. ამას ხელს შეუწყობს მომავალი სამთავრობათაშორისო შეთანხმებაც: დაიდება ხელშეკრულებანი სხვა დარგებშიც, მათ შორის ეკონომიკის სფეროში. ასე რომ, ყველა ეს ღონისძიება კიდევ უფრო გააუმჯობესებს ჩვენს ურთიერთობას, ახალ სიმაღლეზე აიყვანს მას. ჩვენი დღევანდელი შეხვედრა კეთილი დასაწყისია, ორი სახელმწიფოს ურთიერთობის კეთილი დასაწყისი, რომლებიც დამოუკიდებლობის გზას ადგანან.

**კითხვა: ბატონო გამსახურდია, როგორ აფასებთ თქვენ და ბატონ ტერ-პეტროსიანის მიერ ხელმოწერილ ხელშეკრულებას?**

**ზვიად გამსახურდია:** ეს კარგი ხელშეკრულებაა. მართალია, ცოტა არ იყოს ზოგადი ხასიათისაა, მაგრამ ჯერჯერობით სხვაგვარი არ შეიძლება იყოს. ეს, შეიძლება ითქვას, სიმბოლური ხელშეკრულებაა, ეს არის მომავალ ურთიერთობათა დასაწყისი, რომლებიც აუცილებლად გადაიქცევა დიპლომატიურ ურთიერთობებად. გვექნება დიპლომატიური წარმომადგენლობანი, რომლებიც, ალბათ, მიიღებენ საელჩოთა რანგს. ყოველივე ამას საფუძველს უქმნის ხელშეკრულება. ხელშეკრულება დადებითი მოვლენაა.

**ლევონ ტერ-პეტროსიანი:** მე, ჩემი მხრივ, მინდა დავძინო: დღევანდელი ხელშეკრულება, რომელსაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ორივე სახელმწიფოსათვის, უკავშირდება ჩვენი ურთიერთობის ხვალინდელ დღეს. ნავარაუდევია დელეგაციათა გაცვლა, საელჩოების გახსნა, ეკონომიკური, სოციალური და სხვა ურთიერთობანი. წინათაც მითქვამს, რომ ძველთაგანვე სომხეთისა და საქართველოს სახელმწიფოებს მტკიცე კავშირურთიერთობა ჰქონდათ, იგი დღესაც გრძელდება. ჩვენ არა გვაქვს სხვა გზა, გარდა ამისა.

**კითხვა: ბატონო პრეზიდენტო, ჯერ კიდევ საქართველოს უმაღლეს ხელმძღვანელად თქვენს არჩევამდე, არაერთგზის აღგინიშნავთ ქართველი და სომეხი ერების საუკუნოვანი მეგობრობა. მე მინდა, რომ მოკლედ, ორიოდე სიტყვით, გვითხრათ ამ კონტექსტით — რა ღონისძიებანი განხორციელდება სომეხი მოსახლეობისათვის კულტურული ავტონომიის მინიჭების დარგში და რა ღონისძიებანი განხორციელდება, რათა უზრუნველყოთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კულტურის ძეგლების დაცულობა?**

**ზვიად გამსახურდია:** სომეხ ეროვნულ უმცირესობას, ისევე როგორც ყველა სხვა უმცირესობას საქართველოში, აქვს კულტურული ავტონომია, უკვე აქვს. ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობთ, რათა კულტურული ავტონომია ღრმავდებოდეს, ფართოვდებოდეს, ვითარდებოდეს, ვქმნით ამისთვის საკანონმდებლო ბაზისს. ასე რომ, ვერც ერთი სომეხი ვერ იტყვის, თითქოს მას რაღაც პრობლემები ჰქონდეს საქართველოში, თითქოს ვინმე უკრძალავდეს ილაპარაკოს თავის მშობლიურ ენაზე, გამოიყენოს იგი, რომ არ არის სომხური გაზეთი, რადიოგადაცემები, სკოლები, თეატრები. კულტურული საქმიანობის ყველა შესაძლო ფორმა სომხებისათვის საქართველოში ხელმისაწვდომია. აქ ცხოვრობენ მწერლები, კულტურის მოღვაწეები. მართალია, არის წვრილმანი პრობლემები, მაგრამ ისინი არ მომდინარეობს ჩვენი სახელმწიფოს პოლიტიკიდან. ეს პრობლემებიც გადაიჭრება, ასე რომ, არავითარი, ვიმეორებ, არავითარი პრობლემები სომხებს არ ექნებათ.

**კითხვა: ბატონო ტერ-პეტროსიან, როგორ უყურებთ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის წინადადებას თბილისში ამიერკავკასიის რესპუბლიკების სამი ხელმძღვანელის შეხვედრის შესახებ?**

**ლევონ ტერ-პეტროსიანი:** ჩვენ ამაზე ვისაუბრეთ პირისპირ შეხვედრის დროსაც, ჩვენი დელეგაციების მოლაპარაკების დროსაც, და შევთანხმდით, რომ სანამ არსებობს ახალი ინიციატივა ყარაბაღის ხელისუფლების არამრავალრიცხოვანი წარმომადგენლების მხრიდან — უკვე გაიმართა აზერბაიჯანის ხელმძღვანელობასთან ყარაბაღის დელეგაციის პირველი შეხვედრა — უნდა მივცეთ მას განვითარების შესაძლებლობა. თუ წარმატებით განვითარდა ეს მოლაპარაკება, იქნებ საჭიროც აღარ გახდეს საქართველოს შუამავლობა. ხოლო შემდეგ, თუ ეს მოლაპარაკება, ღმერთმა ნუ ქნას, ისევ ჩაიშალა, ჩვენ გამოვნახავთ ახალ პოლიტიკურ ინიციატივებს. ამ კალაპოტით განვიხილავთ ამ საკითხსაც.

**კითხვა: როგორ აფასებთ ვითარებას ახალქალაქის რაიონში? ზოგიერთი მონაცემით იქ შექმნილია უკანონო სამხედრო ფორმირებანი.**

**ლევონ ტერ-პეტროსიანი:** ეს ამბავი არ გამიგონია. ჩემამდე მოსულა ცნობები, რომ ქართველ და სომეხ მოსახლეობას შორის იყო რაღაც შუღლი. დარწმუნებული ვარ, რომ ეს დროებითი სიძნელეებია, რომლებიც მალე უნდა გადაიჭრას. საქართველოში დიდი ხნის მცხოვრებმა სომხებმა, რომლებმაც, უკვე ვთქვი, პატივი უნდა სცენ ტრადიციებსა და საქართველოს მიერ არჩეულ სახელმწიფო გზას, უნდა იცხოვრონ იმ ტრადიციებით, იმ განწყობილებით, მიმართულებებითა და მიზნებით, რომლებსაც აცხადებს ქართველი ერი. სომხებს საქართველოში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული არავითარი გადაუჭრელი პრობლემა არაა აქვთ. მაგრამ მათ, რა თქმა უნდა, აქვთ სოციალური პრობლემები, რომლებიც უნდა გადაიჭრას. ეს სავსებით ადამიანური, საარსებო პრობლემებია, ისინი არის ახალქალაქშიც, და გადაჭრას მოითხოვს. მე მჯერა, დარწმუნებული ვარ, რომ ისინი გადაიჭრება იმ ტრადიციებისა და კანონების შესაბამისად, რომლებიც საქართველოშია მიღებული. იმ ადამიანურობით, რომელიც სჩვევია საქართველოს. მჯერა, რომ ჩვენი დღევანდელი შეხვედრა, საუბარი, ხელშეკრულება იმ დიდი გზის დასაწყისია, რომელსაც ჩვენ ვადგავართ.

**კითხვა: სომხეთის პრესაში ახლახან გამოქვეყნდა სომხეთის ექვსი პოლიტიკური ორგანიზაციის განცხადება, რომლებიც მოუწოდებენ ხალხს ხმა მისცენ რეფერენდუმზე დამოუკიდებლობას. მათ არ შეუერთდნენ მხოლოდ სომხეთის კომპარტია და ორგანიზაცია „დაშნაკუციუნი". რამდენად ძლიერია სომხეთის მოსახლეობაზე ამ ორი ორგანიზაციის გავლენა?**

**ლევონ ტერ-პეტროსიანი:** დღეს სომხეთის საზოგადოება დემოკრატიულია. მუშავდება სხვადასხვა გზა, მიმართულება, თვალსაზრისი. არიან ადამიანები, რომლებიც სომხეთის დამოუკიდებლობის მიმართ რადიკალურად არიან განწყობილი, მაგრამ არიან ადამიანებიც, რომლებსაც სურთ იარონ იმ გზით, თავისუფლება და დამოუკიდებლობა რომ ჰქვია. ხშირად მოდის ყალბი ინფორმაცია საზღვარგარეთიდან, რაც გავლენას ახდენს საზოგადოების გარკვეულ ნაწილზე. დარწმუნებული ვართ, რომ 21 სექტემბერს სომეხი ხალხი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გზას აირჩევს. ეს ჩვენი სურვილია!

**კითხვა: ვთქვათ სომხეთმა და საქართველომ ხელი არ მოაწერეს სამოკავშირეო ხელშეკრულებას, ხოლო ჩვენმა მეზობელმა აზერბაიჯანმა ხელი მოაწერა. როგორ წარმოგიდგენიათ ურთიერთობა მათ შორის?**

**ლევონ ტერ-პეტროსიანი:** ერთბაშად რაღაც რეცეპტების შემოთავაზება შეუძლებელია. მაგრამ, რადგან როგორც საქართველო, ისე სომხეთიც იღვწიან დამოუკიდებლობისათვის, არ აპირებენ გაწყვიტონ ყოველგვარი ურთიერთობა როგორც საერთოდ კავშირთან — თუ იგი შემორჩა — ისე სხვა რესპუბლიკებთანაც. მე მგონი, ამ კონტექსტით შესაძლებელია ყოველგვარი ურთიერთობა და თანამშრომლობა აზერბაიჯანთან. ამას არ გამოვრიცხავ, ეს — ერთი. მეორე, არ გამოვრიცხავ, რომ სომხეთსა და საქართველოში მიმდინარე პროცესები ადრე თუ გვიან დაიწყება აზერბაიჯანშიც, იმ რეჟიმის პირობებშიც, რომელიც ამჟამად არსებობს. ასე რომ, ეს პროცესები შეუქცევადია, ყველა რესპუბლიკა ადრე თუ გვიან ჩაებმება დამოუკიდებლობის მიღწევის პროცესში.

**რედაქციისაგან: პრესკონფერენციის დროს სომეხმა კოლეგებმა ჩვენ, ქართველი ჟურნალისტები, გაგვაფრთხილეს, რომ სომხურიდან ძალზე ცუდად ითარგმნებოდა ნიუანსები. ბატონ ტერ-პეტროსიანის აზრები ზოგჯერ საკმარისად ზუსტად არ გადმოიცემოდა. რა თქმა უნდა, ამის შემდეგ შეიძლებოდა შემოვფარგლულიყავით მხოლოდ მოკლე ინფორმაციით პრესკონფერენციის შესახებ, მაგრამ, ვითვალისწინებთ რა დიდ ინტერესს გამართული მოლაპარაკებისადმი, მაინც ვაქვეყნებთ პრესკონფერენციის ტექსტს და ვცადეთ მაქსიმალურად მივახლოებოდით იგი ორიგინალისთვის. რასაკვირველია, შეიძლება იყოს განსხვავება იმასთან, რაც გამოქვეყნდება სომხურ პრესაში, მაგრამ, ჩვენი მხრივ, არ შეგვეძლო ჩვენი მკითხველები დაგვეტოვებინა ასეთ თუ ისე ამომწურავი ინფორმაციის გარეშე.**

(საქინფორმი).

---

## საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომის შესახებ

**საქართველოს** რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა გაიმართება 1991 წლის 2 აგვისტოს 10 საათზე უზენაესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

უზენაესი საბჭოს დეპუტატთა რეგისტრაცია დაიწყება 2 აგვისტოს 8 საათსა და 30 წუთიდან.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომის დღის წესრიგი

1. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ.
2. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკაში ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ.
3. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკაში ფულად-საკრედიტო რეგულირების შესახებ.
4. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში ფულად-საკრედიტო რეგულირების შესახებ", „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ" და „ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონების სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე.
5. საქართველოს რესპუბლიკის კანონი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ.
6. საქართველოს რესპუბლიკის კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ.
7. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე.
8. საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ.
9. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებათა შეტანის თაობაზე.
10. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებათა შეტანის თაობაზე საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტის შესახებ.
11. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკასა და სომხეთის რესპუბლიკას შორის სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობათა ძირითადი პრინციპების შესახებ ხელშეკრულების თაობაზე.
12. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს პრეზიდიუმის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.
13. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს წევრების არჩევის შესახებ.
14. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრების თ. კიტოვანისა და ი. ბარათაშვილის სადეპუტატო უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.
15. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება ჯავის რაიონსა და ცხინვალში სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების შესახებ.
16. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება შ. წინწალაშვილის სადეპუტატო უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.
17 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება ნ. წულეისკირის სადეპუტატო უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

---

## ევროპარლამენტის წევრი საქართველოში

**საქართველოში** იმყოფება ევროპარლამენტის ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრი, დანიელი ბიზნესმენი კრისტიან როვინგი. იგი ჩვენს რესპუბლიკაში ჩამოვიდა რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის თენგიზ სიგუას მოწვევით. მასთან ერთად აქ იმყოფება ტელეფონიზაციისა და თევზის მოშენების დარგის ექსპერტთა ჯგუფი. მათი ჩამოსვლის მიზანია შეიქმნან წარმოდგენა საქართველოზე, შეისწავლონ რესპუბლიკის საქმიან წრეებთან, საწარმოებთან კონტაქტების შესაძლებლობა, დაამყარონ საქმიანი კავშირურთიერთობა დასავლელ ბიზნესმენებთან, ხელი შეუწყონ ჩვენს რესპუბლიკაში საკუთარი წარმოების განვითარებას.

30 ივლისს ბატონი კრისტიან როვინგი მიიღო საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ.

საუბრის დროს შეეხნენ ევროპარლამენტთან საქართველოს კონტაქტების გაფართოების ფართო წრის საკითხებს, რომელიც მხარს უჭერს რესპუბლიკის ახლანდელი ხელმძღვანელობის კურსს — სრული პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევას.

ბატონმა კრისტიან როვინგმა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია მიიწვია ევროპარლამენტში.

ბატონი როვინგი ჩავა ქუთაისში, ფოთში, სვანეთში, იმოგზაურებს კახეთსა და თუშეთში, ეწვევა მთელ რიგ საწარმოებს.

**31 ივლისს** ბატონი როვინგი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარესთან თენგიზ სიგუასთან ერთად ქუთაისს ესტუმრა.

სტუმარი განსაკუთრებით დაინტერესდა საავტომობილო ქარხნით, სადაც ამჟამად სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მაღალი კლასის მანქანებს ამზადებენ. ეს უნიფიცირებული ტექნიკა დიდი მოთხოვნით სარგებლობს საერთაშორისო ბაზარზე. სტუმარი დეტალურად გაეცნო ქაზ-45-40-01 მარკის ამ მანქანას, ტექნიკური მახასიათებლებით, მის საწარმოო ბაზას. იგი ესაუბრა ქარხნის ხელმძღვანელებს, სპეციალისტებს, გაეცნო აგრეთვე მცირე მოცულობის სატვირთო მანქანას, რომლის სერიული მომზადებისათვის მუშაობა მიმდინარეობს ქარხნის ფართო მოხმარების საამქროში. ისევე როგორც საავტომობილო ქარხნის პროდუქციას, ფერმერული მეურნეობების განვითარებისათვის დიდი პერსპექტივები აქვს ქუთაისში გამოშვებულ მცირეგაბარიტიან ტრაქტორებს.

02-კლასის ოთხბორბლიანი ტრაქტორი და მოტობლოკი სუპერ-600 — ეს ის ტექნიკაა, რომელსაც შეუძლია ეკონომიკური სიძნელეებიდან გამოიყვანოს ქუთაისის მოტობლოკების ქარხანა.

ქარხნის საამქროთა გაცნობისას სტუმარი განსაკუთრებით დაინტერესდა უცხოეთის ფირმებთან კოოპერაციის იმ ფორმებით, რაც ქარხანას არა მარტო საჭირო მაკომპლექტებლებით უზრუნველყოფს, არამედ გზას უხსნის საერთაშორისო ბაზრისაკენ.

სტუმრები იყვნენ მაუდის ფაბრიკაში. ეს საწარმო აქ განხორციელებული ტექნიკური აღჭურვის შედეგად ერთ-ერთი საუკეთესოა საბჭოთა კავშირის მონათესავე საწარმოთა შორის.

შემდეგ სტუმრები გაემართნენ ფოთში, სადაც დაათვალიერეს საზღვაო ნავსადგური. ახლა დასახულია მისი რეკონსტრუქცია, რომლის დამთავრების შემდეგ იგი შეძლებს მიიღოს დიდტონაჟიანი ხომალდები და დაამუშაოს 7 მილიონამდე ტონა ტვირთი — ორჯერ მეტი, ვიდრე ახლა.

დაათვალიერეს სპორტული კომპლექსი, სადაც მალე გაიხსნება ევროპის ჩემპიონატი წყალსათხილამურო სპორტში.

სტუმარი დიდი ინტერესით გაეცნო აგრეთვე ზემო სვანეთს.

— გითხრათ სიმართლე, აქ ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა. თქვენს მრეწველობას ნამდვილად შესანიშნავი პოტენცია აქვს, — განაცხადა საქინფორმის კორესპონდენტთან მზია კილაძესთან საუბარში ბატონმა კრისტიან როვინგმა. — მოგეხსენებათ რა კატასტროფულად იკლებს ბუნებრივი რესურსები. ამ პროცესების გათვალისწინებით ჩვენ ამჟამად ვამუშავებთ რვა პროგრამას, სადაც აქცენტი სოფლის მეურნეობის პრიორიტეტულ განვითარებაზე იქნება აგებული. ყველაფერს ვიღონებ, რომ თქვენი სასოფლო-სამეურნეო პროფილის საწარმოები, უსათუოდ გათვალისწინებული იყოს ამ პროგრამებში,

საქინფორმი.

---

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბრძანებულება

### ვ. მ. გაბელიას მარნეულის რაიონის პრეფექტად დანიშვნის შესახებ

**გათავისუფლდეს** ვალერი მიხეილის ძე გაბელია ჩხოროწყუს რაიონის პრეფექტის მოვალეობისგან და დაინიშნოს მარნეულის რაიონის პრეფექტად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
**ზვიად გამსახურდია.**

თბილისი. 1991 წლის 30 ივლისი

---

### ქრონიკა

**საქართველოს** რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებით არჩილ ოთარის ძე მაჭავარიანი გათავისუფლებულია მარნეულის რაიონის პრეფექტის მოვალეობისაგან.

საქინფორმი.

---

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დადგენილება

### „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე

**საქართველოს** რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

„სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1991 წლის პირველი ოქტომბრიდან.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
**აკაკი ასათიანი.**

თბილისი. 1991 წლის 25 ივლისი.

---

საქართველოს რესპუბლიკის

# კანონი

# სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ

**კანონი** „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ" განსაზღვრავს სამეწარმეო საქმიანობის ეკონომიკურ, სოციალურ, ორგანიზაციულ და სამართლებრივ საფუძვლებს, იგი არეგულირებს საწარმოთა ეკონომიკურ ურთიერთობებს, უზრუნველყოფს მათ თავისთავადობას და დამოუკიდებლობას, აწესებს სამეწარმეო საქმიანობის პროცესის მონაწილეთა უფლებებს, ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას.

კანონი მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე და ვრცელდება მეწარმეობის ყველა სუბიექტზე. კანონი არ გამოიყენება იმ მოქალაქეებისა და იურიდიული პირების მიმართ, რომლებიც ეწევიან არაკომერციულ საქმიანობას.

### კარი I
### ზოგადი დებულებანი

**მუხლი 1. მეწარმეობა**

მეწარმეობა არის ცალკეული მოქალაქეების, მოქალაქეობის არმქონე პირების და მათი გაერთიანებების ინიციატივაზე დაფუძნებული დამოუკიდებელი საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავს მატერიალური დოვლათის, ინტელექტუალური ფასეულობების, ფასიანი მომსახურების ან სხვა სამუშაოების წარმოებასა და რეალიზაციას და ამის საფუძველზე მოგების (შემოსავლის) მიღებას.

მეწარმეობა საქართველოს რესპუბლიკაში წარიმართება საერთო ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით, საქართველოს ეკონომიკური ძლიერებისა და ეროვნული სიმდიდრის ზრდისათვის, ეკონომიკური და სოციალური სამართლიანობის, ეკოლოგიური უსაფრთხოების პრინციპების სრული დაცვით.

**მუხლი 2. მეწარმე**

მეწარმე შეიძლება იყოს:

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, მოქალაქეობის არმქონე პირი და უცხოეთის სახელმწიფოს მოქალაქე, რომელიც დამოუკიდებლად წარმართავს თავის სამეურნეო საქმიანობას საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით;

მოქალაქეთა გაერთიანებები, კოლექტიური მეწარმეები (პარტნიორები);

სამეწარმეო საქმიანობას შეიძლება ეწეოდეს უშუალოდ მესაკუთრე ან სუბიექტი, რომელსაც საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად მესაკუთრის მიერ დადგენილ ფარგლებში ქონება გადაეცემა სრულ სამეურნეო გამგებლობაში.

საწარმოს იჯარით გადაცემის შემთხვევაში საიჯარო ხელშეკრულების პერიოდში მეწარმის უფლებით სარგებლობს მოიჯარე.

მეწარმის სტატუსი მიიღება ამ კანონით დადგენილი წესით ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის ან საწარმოს სახელმწიფო რეგისტრაციის შედეგად. მეწარმეობა რეგისტრაციის გარეშე აკრძალულია. მეწარმეობა შეიძლება განხორციელდეს როგორც იურიდიული პირის შექმნით, ასევე მის გარეშე.

მეწარმის სტატუსი საქართველოს რესპუბლიკაში შეუთავსებელია მოგების (შემოსავლის) მიღების მიზნით ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგო, ანტიჰუმანურ, დანაშაულებრივ საქმიანობასთან.

მეწარმეს, განურჩევლად მისი იურიდიული სტატუსისა, უფლება აქვს ჰქონდეს ბეჭედი, გახსნას ანგარიშსწორების და სხვა სახის ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში.

მეწარმე საწარმოზე საკუთრების უფლებას იძენს საწარმოს შექმნით, ყიდვით ან სხვა სამოქალაქო გარიგებით.

**მუხლი 3. საწარმო**

საწარმო არის გარკვეული სახის პროდუქციის წარმოების, სამუშაოთა შესრულებისა და მომსახურების გაწევის მიზნით შექმნილი დამოუკიდებელი სამეურნეო ერთეული.

საწარმო შეიძლება ფუნქციონირებდეს ამ კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით, რომელსაც იგი ნებაყოფლობით ირჩევს.

საწარმო ეკონომიკურად და ორგანიზაციულად დამოუკიდებელია. იგი მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის, თავისი წესდების, დამფუძნებლებს შორის დადებული ხელშეკრულების და მის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა საფუძველზე.

საწარმო, განურჩევლად მისი საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა, ექვემდებარება ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებას საგადასახადო, საბიუჯეტო, საკრედიტო და სხვა ეკონომიკური ბერკეტების მეშვეობით.

**მუხლი 4. საწარმოს მესაკუთრენი**

„საქართველოს რესპუბლიკაში საკუთრების შესახებ" კანონის შესაბამისად რესპუბლიკაში შეიძლება შეიქმნას და მოქმედებდეს კერძო, კოლექტიურ და სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი საწარმოები.

საქართველოს რესპუბლიკაში საწარმოს მესაკუთრენი შეიძლება იყვნენ: საქართველოს რესპუბლიკა, მის შემადგენლობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკები, ადგილობრივი მმართველობის ორგანოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, უცხოეთის სახელმწიფოები, საერთაშორისო ორგანიზაციები, საქართველოს რესპუბლიკისა და საზღვარგარეთის ქვეყნების ფიზიკური და იურიდიული პირები.

### კარი II.
### მეწარმის უფლება-მოვალეობანი, პასუხისმგებლობა და გარანტიები

**მუხლი 5. მეწარმის უფლებები**

მეწარმეს უფლება აქვს:

დაიწყოს და წარმართოს სამეწარმეო საქმიანობა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობით, საწარმოს დაფუძნებით, ყიდვით ან გარდაქმნით, აგრეთვე მესაკუთრესთან ხელშეკრულების გაფორმებით;

განახორციელოს ყოველგვარი სამეურნეო საქმიანობა, თუ იგი არ არის აკრძალული საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით;

სახელშეკრულებო საწყისებზე მოიზიდოს და გამოიყენოს ფინანსური სახსრები, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტები, ცალკეულ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ქონება და ქონებრივი უფლებები;

გახსნას ანგარიშსწორების და სხვა სახის ანგარიშები საბანკო (მათ შორის საზღვარგარეთის) დაწესებულებებში;

დამოუკიდებლად განსაზღვროს თავისი საქმიანობის მიმართულებები, აირჩიოს მომწოდებლები და მომხმარებლები, საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვროს საკუთარი პროდუქციის, მომსახურებისა და სამუშაოების ფასები;

განახორციელოს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები;

დამოუკიდებლად მართოს საწარმო;

გამოიყენოს დაქირავებულ მუშაკთა შრომა მათთან ხელშეკრულების გაფორმების საფუძველზე;

განაგოს საწარმოს მოგება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის, ხელშეკრულებების და საწარმოს წესდებათა მოთხოვნების შესაბამისად;

ისარგებლოს სახელმწიფო სოციალური უზრუნველყოფის, სამედიცინო და სოციალური დაზღვევის სისტემების მომსახურებით;

შექმნას მეწარმეთა გაერთიანებები და კავშირები; შევიდეს მეწარმეთა გაერთიანებებში და კავშირებში;

იყოს მოპასუხე და მოსარჩელე სასამართლოში (მათ შორის საარბიტრაჟო და სამედიატორო სასამართლოში);

მეწარმეს შეიძლება ჰქონდეს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებები.

**მუხლი 6. მეწარმის მოვალეობანი**

მეწარმე მოვალეა:

შეასრულოს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობიდან და მის მიერ დადებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებები;

შეასრულოს საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილებები, რომლებიც შეეხება სამეწარმეო საქმიანობის რეგულირებას;

დაიცვას რესპუბლიკის ინტერესები საგარეო-ეკონომიკური გარიგებების დროს, უცხოური ინვესტიციების და სხვა რესურსების გამოყენებისას;

(დასასრული მე-2 გვ.).

# საქართველოს რესპუბლიკის კანონი

# სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ

(გაგრძელება)

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად, დამოუკიდებლად ან საწარმოს სახელით დადოს შრომითი ხელშეკრულება დაქირავებულ მოქალაქესთან ან მოქალაქეთა მიერ უფლებამოსილ ორგანოსთან;

დადებული ხელშეკრულების თანახმად გაასწოროს ანგარიში საწარმოს ყველა მუშაკთან მიუხედავად საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა;

განახორციელოს დაქირავებული მოქალაქეების სოციალური, სამედიცინო და აუცილებელი დაზღვევის სხვა სახეები, უზრუნველყოს მათი შრომითი საქმიანობისათვის აუცილებელი ყველა პირობა საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობისა და დადებულ ხელშეკრულებათა მოთხოვნების შესაბამისად;

შეასრულოს ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილებანი ინვალიდების და შეზღუდული შრომის უნარის მქონე სხვა პირების სოციალური დაცვისათვის;

დროულად წარადგინოს დეკლარაცია შემოსავლების შესახებ და გადაიხადოს გადასახადები საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით;

გადახდისუუნარობის შემთხვევაში სათანადო ორგანოების წინაშე აღძრას შუამდგომლობა მისი გაკოტრებულად ცნობისათვის.

**მუხლი 7. მეწარმის პასუხისმგებლობა**

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად მეწარმე პასუხს აგებს:

დადებული ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულებისათვის;

სხვა სუბიექტების მიმართ ქონებრივი უფლებების დარღვევისათვის;

გარემოს დაბინძურებისათვის;

სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევისათვის;

ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევისათვის;

მომხმარებლის ინტერესების შელახვისათვის;

საქონლის არასწორი მარკირებისათვის, სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დარღვევისათვის;

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების, ეროვნული ფასეულობების, ისტორიული და კულტურული ძეგლების დაზიანებისა და განადგურებისათვის;

ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების განაშენიანებისა და ესთეტიკური მოთხოვნების დარღვევისათვის;

შრომის უსაფრთხოების პირობების დაუცველობისათვის;

მის მიერ წარმოებული და რეალიზებული პროდუქციით მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებისათვის.

მეწარმეს საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შესაბამისად კრედიტორების წინაშე ეკისრება ქონებრივი პასუხისმგებლობა.

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის საფუძველზე მეწარმე პასუხისმგებელია საწარმოს ქონების მესაკუთრის წინაშე მათ შორის დადებული ხელშეკრულების (კონტრაქტის) შესაბამისად.

მეწარმეს შეიძლება ჩამოერთვას სამეწარმეო საქმიანობის უფლება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

**მუხლი 8. სამეწარმეო საქმიანობის შეზღუდვები**

მხოლოდ სახელმწიფო საწარმოებს ეძლევათ უფლება:

აწარმოონ და გაასაღონ ნარკოტიკულ ნივთიერებათა შემცველი მედიკამენტები და პრეპარატები;

დაამზადონ და გაყიდონ იარაღი და ასაფეთქებელი ნივთიერებები;

გამოუშვან ფულის ნიშნები, მონეტები და საფოსტო მარკები.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის, მის მიერ უფლებამოსილი ორგანოს სპეციალური ნებართვის გარეშე აკრძალულია:

წიაღისეულის მოპოვება და დამუშავება;

სპორტული, სანადირო და სხვა სახის იარაღის შეკეთება;

მედიკამენტების წარმოება და რეალიზაცია;

იურიდიული პრაქტიკა;

უმავთულო კავშირგაბმულობით მომსახურება;

კინო და ვიდეო-ფილმების წარმოება; ტელე-რადიოარხების შექმნა;

ალკოჰოლიანი სასმელებისა და თამბაქოს წარმოება;

შხამქიმიკატების წარმოება;

შრომითი მოწყობის კერძო დაწესებულებების შექმნა;

ძვირფასი ლითონებისგან ნაკეთობათა წარმოება;

საგამოძიებო, საადვოკატო და დაცვითი საქმიანობა;

სასწავლო დაწესებულებების შექმნა;

სამედიცინო პრაქტიკა;

ვეტერინარული პრაქტიკა;

გასართობ და აზარტულ თამაშობათა ორგანიზაცია;

ლომბარდით მომსახურება.

**მუხლი 9. მეწარმის მონაწილეობა საწარმოს მოგების განაწილებაში**

ბიუჯეტთან, კრედიტორებთან ანგარიშსწორებისა და დივიდენდების გადახდის შემდეგ საწარმოს მოგება გადადის მეწარმის განკარგულებაში და დამოუკიდებლად გამოიყენება მის მიერ, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული საწარმოს წესდებით.

მეწარმეს, რომელიც მუშაობს ხელშეკრულებით (კონტრაქტით), შეუძლია მიიღოს შრომის ანაზღაურება როგორც ხელფასის, ასევე საწარმოს მოგებიდან წილის სახით.

მეწარმის შრომის ანაზღაურების ფორმები, წესი და პირობები განისაზღვრება საწარმოს ქონების მესაკუთრესთან დადებული ხელშეკრულებით (კონტრაქტით).

იმ შემთხვევაში, როცა მეწარმეობას ახორციელებს ამა თუ იმ ფორმის ამხანაგობა, თითოეული პარტნიორის შემოსავალი განისაზღვრება მათ შორის დადებული ხელშეკრულებით.

მეწარმის პირადი შემოსავალი იბეგრება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 10. მეწარმის გარანტიები**

საქართველოში მეწარმეთა უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის გარანტი არის სახელმწიფო.

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა უზრუნველყოფს მის ტერიტორიაზე მოქმედი ყველა მეწარმის თანაბარ უფლებებს და იძლევა ამ უფლებათა დაცვის გარანტიებს მიუხედავად მათი საქმიანობის სახისა.

მეწარმე დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. სახელმწიფოს, საზოგადოებრივი და სხვა ორგანოების ჩარევა მეწარმის საქმიანობაში დაუშვებელია, გარდა საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

სახელმწიფოს, სხვა ორგანოების ან მათი თანამდებობის პირების მიერ კანონმდებლობის დარღვევით მიღებული გადაწყვეტილებების ან მათ მიერ მოვალეობის არასათანადოდ შესრულების შედეგად მეწარმისადმი მიყენებულ ზარალს აანაზღაურებენ ეს ორგანოები ან მათი თანამდებობის პირები. ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ სადავო საკითხებს იხილავს და წყვეტს სასამართლო ან საარბიტრაჟო სასამართლო.

## კარი III

## საწარმოთა ფორმები და სახეები

**მუხლი 11. საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები**

საქართველოს რესპუბლიკაში შეიძლება მოქმედებდნენ შემდეგი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოები:

1. ინდივიდუალური საწარმო;
2. სრული სამეურნეო ამხანაგობა;
3. შერეული (კომანდიტური) სამეურნეო ამხანაგობა;
4. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;
5. ერთი პირის საწარმო;
6. დამატებითი პასუხისმგებლობის საზოგადოება;
7. სააქციო საზოგადოება;
8. სახელმწიფო საწარმო;
9. ადგილობრივი (მუნიციპალური) საწარმო;
10. საზოგადოებრივი ორგანიზაციის საწარმო.

საქართველოს რესპუბლიკაში შეიძლება მოქმედებდეს აგრეთვე სხვა ისეთი სახის საწარმოები (მათ შორის ერთობლივი), რომელთა შექმნა არ ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობას.

რესპუბლიკაში შეიძლება შეიქმნას და ფუნქციონირებდეს ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მცირე საწარმო; მცირე საწარმოს სტატუსი მისი შექმნისა და მოქმედების თავისებურებანი განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის შესაბამისი კანონმდებლობით.

**მუხლი 12. ინდივიდუალური საწარმო**

ინდივიდუალურია საწარმო, რომელიც ეკუთვნის მოქალაქეს საკუთრების უფლებით ან მისი ოჯახის წევრებს საერთო (წილობრივი ან ერთობლივი) საკუთრების უფლებით, თუ მათი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ინდივიდუალური საწარმოს ქონება იქმნება მოქალაქის (მისი ოჯახის) ყველა კანონიერი შემოსავლით.

ინდივიდუალური საწარმო შეიძლება შეიქმნას მოქალაქის (ოჯახის) მიერ სახელმწიფო, ადგილობრივი (მუნიციპალური) საწარმოს ან სხვა ქონების შეძენის და ახალი საწარმოს დაფუძნების გზით.

ინდივიდუალური საწარმო არ არის იურიდიული პირი. მისი ქონება განუყოფელია მეწარმის ქონებისაგან. მეწარმე საწარმოს ვალდებულებებზე პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით.

ინდივიდუალურ საწარმოს აქვს საკუთარი საფირმო სახელწოდება, რომელშიც მითითებულია საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და მისი ქონების მესაკუთრის გვარი.

**მუხლი 13. სრული სამეურნეო ამხანაგობა**

სრული სამეურნეო ამხანაგობა წარმოადგენს ერთობლივი სამეურნეო საქმიანობისთვის რამდენიმე ფიზიკური და (ან) იურიდიული პირის გაერთიანებას ხელშეკრულების საფუძველზე.

სრული სამეურნეო ამხანაგობა არ არის იურიდიული პირი. მისი ქონება განუყოფელია ამხანაგობის წევრთა ქონებისაგან. ამხანაგობის ვალდებულებებზე მისი წევრები სოლიდარულად არიან პასუხისმგებელნი მთელი თავიანთი ქონებით.

სრული სამეურნეო ამხანაგობის ქონება იქმნება მონაწილეთა შენატანებით, მიღებული შემოსავლებით და სხვა კანონიერი წყაროებით და ეკუთვნის მის მონაწილეებს საერთო-წილობრივი საკუთრების უფლებით.

სრულ სამეურნეო ამხანაგობაში შემავალი იურიდიული პირები ინარჩუნებენ დამოუკიდებლობას და იურიდიული პირის უფლებებს. ამხანაგობა პასუხს არ აგებს თავისი წევრების იმ ვალდებულებებზე, რომლებიც დაკავშირებული არ არის ამხანაგობის საქმიანობასთან.

სრულ სამეურნეო ამხანაგობას აქვს საკუთარი საფირმო სახელწოდება, რომელშიც მითითებულია საწარმოს ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა და მისი ქონების ერთი მესაკუთრის გვარი (ან სახელწოდება) მაინც.

**მუხლი 14. შერეული (კომანდიტური) სამეურნეო ამხანაგობა**

შერეული სამეურნეო ამხანაგობა წარმოადგენს ერთობლივი სამეურნეო საქმიანობისათვის რამდენიმე ფიზიკური და (ან) იურიდიული პირის გაერთიანებას ხელშეკრულების საფუძველზე.

შერეული სამეურნეო ამხანაგობა შედგება ნამდვილი და მეპაიე-კომანდიტორი წევრებისაგან.

შერეული სამეურნეო ამხანაგობა არ არის იურიდიული პირი. ამხანაგობის ვალდებულებებზე მისი ნამდვილი წევრები სოლიდარულად არიან პასუხისმგებლები მთელი თავიანთი ქონებით, ხოლო მეპაიე წევრები (კომანდიტორები) იმ ქონებით, რომელიც მათ ხელშეკრულებით გადასცეს (მიანდეს) ამხანაგობას.

შერეული სამეურნეო ამხანაგობა არ არის პასუხისმგებელი მისი მეპაიე წევრების ქონებრივ ვალდებულებებზე.

შერეული სამეურნეო ამხანაგობის შემადგენლობაში უნდა იმყოფებოდეს სულ ცოტა ერთი ნამდვილი და ერთი მეპაიე — კომანდიტორი წევრი.

შერეული სამეურნეო ამხანაგობის ქონება იქმნება მონაწილეთა შენატანებით, მიღებული შემოსავლებით, სხვა კანონიერი წყაროებით და ეკუთვნის მის მონაწილეებს საერთო-წილობრივი საკუთრების უფლებით.

შერეული სამეურნეო ამხანაგობის მონაწილე იურიდიული პირები ინარჩუნებენ დამოუკიდებლობას და იურიდიული პირის უფლებებს.

შერეულ სამეურნეო ამხანაგობას აქვს საკუთარი საფირმო სახელწოდება, რომელშიც მითითებულია საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და მისი ქონების სულ ცოტა ერთი ნამდვილი მესაკუთრე წევრის გვარი (ან სახელწოდება).

**მუხლი 15. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება წარმოადგენს ერთობლივი სამეურნეო საქმიანობისათვის ფიზიკურ და (ან) იურიდიულ პირთა გაერთიანებას ხელშეკრულების საფუძველზე. საზოგადოებას აქვს საწესდებო კაპიტალი, რომელიც იქმნება მხოლოდ დამფუძნებელთა საპაიო შენატანებით.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის იურიდიული პირი, მისი მონაწილეები საზოგადოების ვალდებულებებზე პასუხს აგებენ მხოლოდ საკუთარი შენატანის ფარგლებში. საზოგადოების წევრების შენატანების ერთი მესაკუთრისაგან სხვა მესაკუთრისათვის გადაცემა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საზოგადოების სხვა მონაწილეთა თანხმობით, საზოგადოების წესდებით დადგენილი წესით.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ქონება იქმნება მონაწილეთა შენატანებით, მიღებული შემოსავლებითა და სხვა კანონიერი წყაროებით და ეკუთვნის მის მონაწილეებს საერთო-წილობრივი საკუთრების უფლებით.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მონაწილე იურიდიული პირები ინარჩუნებენ დამოუკიდებლობას და იურიდიული პირის უფლებებს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება პასუხს არ აგებს მისი მონაწილეების იმ ვალდებულებებზე, რომლებიც დაკავშირებული არ არის საზოგადოების საქმიანობასთან.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება მოქმედებს მისი მონაწილეების მიერ დამტკიცებული საკუთარი წესდების მიხედვით, აქვს საკუთარი საფირმო სახელწოდება, რომელშიც მითითებულია საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა.

**მუხლი 16. ერთი პირის საწარმო**

ერთი პირის საწარმო წარმოადგენს ერთი პირის მიერ შექმნილ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ნაირსახეობას, რომლის ქონებაც მას ეკუთვნის საკუთრების უფლებით. საწარმოს აქვს საწესდებო კაპიტალი, რომელიც იქმნება დამფუძნებლის შენატანით.

ერთი პირის საწარმო შეიძლება შეიქმნას სახელმწიფო, ადგილობრივი (მუნიციპალური) საწარმოს ან სხვა ქონების შეძენის, ან ახალი საწარმოს დაფუძნების გზით.

ერთი პირის საწარმო არის იურიდიული პირი. ერთი პირის საწარმოს ქონება წარმოადგენს მისი ქონების განკერძოებულ ნაწილს, რომელიც განკუთვნილია სამეწარმეო საქმიანობისათვის. საწარმოს ვალდებულებებზე იგი პასუხს აგებს საწარმოს ქონებით.

ერთი პირის საწარმო მოქმედებს საკუთარი წესდების მიხედვით, აქვს საკუთარი საფირმო სახელწოდება, რომელშიც მითითებულია საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და მისი ქონების მესაკუთრის გვარი.

**მუხლი 17. დამატებითი პასუხისმგებლობის საზოგადოება**

დამატებითი პასუხისმგებლობის საზოგადოება წარმოადგენს ერთობლივი სამეურნეო საქმიანობისათვის ფიზიკურ და (ან) იურიდიულ პირთა გაერთიანებას ხელშეკრულების საფუძველზე. საზოგადოებას აქვს საწესდებო კაპიტალი, რომელიც იქმნება მხოლოდ დამფუძნებელთა საპაიო შენატანებით.

დამატებითი პასუხისმგებლობის საზოგადოება არის იურიდიული პირი. მისი მონაწილეები საზოგადოების ვალდებულებებზე პასუხს აგებენ მათ განკარგულებაში არსებული მთელი შენატანებით და თუ ეს საკმარისი არ არის, საზოგადოების წევრები პასუხს აგებენ საკუთარი ქონებით მათი საპაიო შენატანების პროპორციულად. საზოგადოების წევრების შენატანების ერთი მესაკუთრისაგან სხვა მესაკუთრისათვის გადაცემა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საზოგადოების სხვა მონაწილეთა თანხმობით, საზოგადოების წესდებით დადგენილი წესით.

დამატებითი პასუხისმგებლობის საზოგადოების ქონება იქმნება მონაწილეთა შენატანებით, მიღებული შემოსავლებითა და სხვა კანონიერი წყაროებით და ეკუთვნის მის მონაწილეებს საერთო-წილობრივი საკუთრების უფლებით.

დამატებითი პასუხისმგებლობის საზოგადოების მონაწილე იურიდიული პირები ინარჩუნებენ დამოუკიდებლობას და იურიდიული პირის უფლებებს.

დამატებითი პასუხისმგებლობის საზოგადოება პასუხს არ აგებს მისი მონაწილეების იმ ვალდებულებებზე, რომლებიც დაკავშირებული არ არის საზოგადოების საქმიანობასთან.

დამატებითი პასუხისმგებლობის საზოგადოება მოქმედებს მისი მონაწილეების მიერ დამტკიცებული საკუთარი წესდების მიხედვით, აქვს საკუთარი საფირმო სახელწოდება, რომელშიც მითითებულია საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა.

**მუხლი 18. სააქციო საზოგადოება**

სააქციო საზოგადოება წარმოადგენს ხელშეკრულების საფუძველზე ერთობლივი სამეურნეო საქმიანობისათვის ფიზიკური და (ან) იურიდიული პირების გაერთიანებას, რომელთაც აქვთ აქციებად დაყოფილი საწესდებო კაპიტალი.

სააქციო საზოგადოების ქონება იქმნება მონაწილეთა შენატანებით აქციების გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლებით და სხვა კანონიერი წყაროებით. აქციების თავისუფალი გაყიდვა ნებადართულია და იგი შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი პირობებით.

სააქციო საზოგადოება არის იურიდიული პირი. მისი მონაწილეები სააქციო საზოგადოების ვალდებულებებზე პასუხს აგებენ მხოლოდ საკუთარი შენატანების (მათი კუთვნილი აქციების პაკეტის) ფარგლებში.

სააქციო საზოგადოება პასუხს არ აგებს მასში მონაწილე აქციონერების ქონებრივ ვალდებულებებზე.

სააქციო საზოგადოება მოქმედებს მისი მონაწილეების მიერ დამტკიცებული საკუთარი წესდების საფუძველზე. აქვს საკუთარი საფირმო სახელწოდება, რომელშიც მითითებულია საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა.

სააქციო საზოგადოების მონაწილე იურიდიული პირები ინარჩუნებენ დამოუკიდებლობას და იურიდიული პირის უფლებებს.

**მუხლი 19. სახელმწიფო საწარმო**

სახელმწიფო საწარმოს აფუძნებს საქართველოს რესპუბლიკის და მასში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო მმართველობის ორგანო, რომელიც უფლებამოსილია მართოს სახელმწიფო ქონება.

სახელმწიფო საწარმოს ქონება, აგრეთვე სახელმწიფოს შენატანები სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოთა ქონებაში იქმნება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტით, ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებით, სხვა სახელმწიფო საწარმოების შენატანებით, სახელმწიფოს განკარგულებაში არსებული ყველა კანონიერი შემოსავლით. აღნიშნული ქონება საწარმოს გადაეცემა სრულ სამეურნეო გამგებლობაში.

სახელმწიფო საწარმო არის იურიდიული პირი. იგი თავის ვალდებულებებზე პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით. სახელმწიფო პასუხს არ აგებს სახელმწიფო საწარმოს ვალდებულებებზე, სახელმწიფო საწარმო კი — სახელმწიფოს ვალდებულებებზე.

სახელმწიფო საწარმოს აქვს საკუთარი საფირმო სახელწოდება, რომელშიც მითითებულია საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა.

**მუხლი 20. ადგილობრივი (მუნიციპალური) საწარმო**

ადგილობრივ საწარმოს აფუძნებს ადგილობრივი მმართველობის ორგანო. ადგილობრივი საწარმოს ქონება, აგრეთვე ადგილობრივი მმართველობის ორგანოების შენატანები სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოთა ქონებაში იქმნება ადგილობრივი ბიუჯეტის, სხვა ადგილობრივი საწარმოების სახსრებისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ყველა კანონიერი შემოსავლის ხარჯზე. აღნიშნული ქონება საწარმოს გადაეცემა სრულ სამეურნეო გამგებლობაში.

ადგილობრივი საწარმო არის იურიდიული პირი. იგი საკუთარ ვალდებულებებზე პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით. ადგილობრივი (მუნიციპალური) საწარმო პასუხს არ აგებს ადგილობრივი მმართველობის ან თვითმმართველობის ორგანოების ვალდებულებებზე, ხოლო ეს უკანასკნელი — ადგილობრივი საწარმოების ვალდებულებებზე.

მუნიციპალურ საწარმოს აქვს საკუთარი სახელწოდება, რომელშიც მითითებულია საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა.

**მუხლი 21. საზოგადოებრივი ორგანიზაციის საწარმო**

საზოგადოებრივი ორგანიზაციის საწარმოს აფუძნებს საზოგადოებრივი ორგანიზაცია (ამ ორგანიზაციის მმართველობის ორგანო).

იგი იქმნება საზოგადოებრივი ორგანიზაციის ქონებით, რომელიც მას გადაეცემა სრულ სამეურნეო გამგებლობაში.

საზოგადოებრივი ორგანიზაციის საწარმო არის იურიდიული პირი და საკუთარ ვალდებულებებზე პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით. საწარმო პასუხს არ აგებს საზოგადოებრივი ორგანიზაციის ვალდებულებებზე, ხოლო ეს უკანასკნელი კი — საწარმოს ვალდებულებებზე.

საზოგადოებრივი ორგანიზაციის საწარმოს აქვს საკუთარი საფირმო სახელწოდება, რომელშიც მითითებულია საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა.

**მუხლი 22. ქვესაწარმოები, ფილიალები და წარმომადგენლობები**

საწარმოს შეუძლია შექმნას ქვესაწარმოები იურიდიული პირის უფლებით, აგრეთვე ფილიალები, წარმომადგენლობები, განყოფილებები და სხვა სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები, მოქმედებენ საწარმოს მინდობილობით და უფლება აქვთ გახსნან ანგარიშსწორებისა და მიმდინარე ანგარიშები.

ქვესაწარმოები მოქმედებენ დამფუძნებელი საწარმოს მიერ დამტკიცებული წესდების საფუძველზე, ხოლო ფილიალები, წარმომადგენლობები და სხვა სტრუქტურული ერთეულები — საწარმოს მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე.

ქვესაწარმოები, ფილიალები, წარმომადგენლობები და სხვა სტრუქტურული ერთეულები იქმნება იმ წესების მიხედვით, რომლებიც გამოიყენება საწარმოების შექმნისა და რეგისტრაციისათვის.

**მუხლი 23. საწარმოთა გაერთიანებები**

საწარმოები შეიძლება გაერთიანდნენ კავშირებში, ასოციაციებში, კონცერნებში, დარგთაშორის, რეგიონალურ და სხვა სახის გაერთიანებებში. გაერთიანებები იქმნება ნებაყოფლობითი ხელშეკრულების საფუძველზე ურთიერთშორის საქმიანობის კოორდინაციის გაუმჯობესების, მათი უფლებების დაცვის, საწარმოთა სამეურნეო, სამეცნიერო-ტექნიკური და სოციალური შესაძლებლობების გაფართოების მიზნით. დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით გაერთიანებებს შეიძლება გადაეცეთ ცალკეული საწარმოო-სამეურნეო და სხვა ფუნქციები.

გაერთიანება არის იურიდიული პირი. მასში შემავალი საწარმოები ინარჩუნებენ დამოუკიდებლობას და იურიდიული პირის უფლებებს. გაერთიანებათა მმართველ ორგანოებს არ გააჩნიათ განმკარგულებელი ძალაუფლება იმ საწარმოთა მიმართ, რომლებიც შედიან გაერთიანებებში და ასრულებენ თავიანთ ფუნქციებს საწარმოებთან ხელშეკრულების საფუძველზე.

გაერთიანებები იქმნება:

საწარმოთა გაერთიანებებში ნებაყოფლობითი შესვლისა და გაერთიანების წესდებით განსაზღვრული წესით იქიდან გამოსვლის საფუძველზე;

ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის საფუძველზე;

გაერთიანების ორგანიზაციული ფორმის თავისუფალი არჩევანის საფუძველზე.

ცალკეული სახის გაერთიანებების არსი და სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით.

გაერთიანებას აქვს საკუთარი სახელწოდება, რომელშიც მითითებულია მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა. იგი მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის, გაერთიანების წესდების და დამფუძნებელთა ხელშეკრულების საფუძველზე.

გაერთიანებათა შექმნა, რეგისტრაცია და ლიკვიდაცია ხდება ამ კანონის მიხედვით, საწარმოთათვის დადგენილი წესით.

## კარი IV

## საწარმოთა საქმიანობის საფუძვლები

**მუხლი 24. საწარმოთა საქმიანობის სფერო**

საწარმოს შეუძლია განახორციელოს ნებისმიერი სამეურნეო საქმიანობა, რომელიც არ არის შეზღუდული ამ ან სხვა კანონით, საწარმოს წესდებით, მისი შექმნის შესახებ ხელშეკრულებით, რომელიმე სხვა დამფუძნებელი დოკუმენტით, ან არ არის აკრძალული სხვა წესით.

ზოგიერთი სახის სამეურნეო საქმიანობას, რომელთა ნუსხასაც განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა, საწარმო შეიძლება ეწეოდეს მხოლოდ სპეციალური ნებართვის (ლიცენზიის) მიღების შემთხვევაში.

ლიცენზიების მიღების წესს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სხვა სახელმწიფოთა ფიზიკურ, იურიდიულ პირთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა ნებისმიერი სამეურნეო საქმიანობისათვის აუცილებელია საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ნებართვა. ასეთი ნებართვა არ მოეთხოვებათ სხვა სახელმწიფოების იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომელთაც აქვთ სურვილი შეიძინონ აქციები სააქციო საზოგადოებებისაგან.

**მუხლი 25. საწარმოს საქმიანობის საწარმოო პროგრამა**

საწარმო დამოუკიდებლად ადგენს თავისი საქმიანობის საწარმოო პროგრამას და განსაზღვრავს განვითარების პერსპექტივებს. სახელმწიფო (ადგილობრივი მმართველობის) ორგანოებთან აუცილებელ შეთანხმებას მოითხოვს იმ ღონისძიებათა გეგმაში შეტანა, რომელთა განხორციელებამ შეიძლება გამოიწვიოს უარყოფითი ეკოლოგიური, სოციალური, დემოგრაფიული ან სხვა შედეგები იმ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისათვის, სადაც საწარმო იმყოფება.

**მუხლი 26. ფასები და ფასწარმოქმნა**

საკუთარი პროდუქციის, შესრულებული სამუშაოების, გაწეული მომსახურების, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების და წარმოების ნარჩენების რეალიზაციას საწარმო ახდენს დამოუკიდებლად განსაზღვრული ფასებითა და ტარიფებით ან სახელშეკრულებო ფასებით, ხოლო საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში — სახელმწიფო ფასებით.

სახელმწიფოს უფლება აქვს არეგულიროს ფასები ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის შესაბამისად.

იმ პროდუქციისა და რესურსების ნუსხას, რომლებზეც ვრცელდება ფასების სახელმწიფო რეგულირება, განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

**მუხლი 27. საფინანსო და საკრედიტო ურთიერთობანი**

საწარმოს ფინანსური რესურსების შექმნის წყაროებია: მოგება; ამორტიზაციის ანარიცხები; შემოსავლები ფასიანი ქაღალდების რეალიზაციიდან; შრომითი კოლექტივის წევრების, სხვა ფიზიკური და იურიდიული პირების საპაიო ან სხვა შენატანები; აგრეთვე სხვა შემოსულობანი.

საწარმო სარგებლობს ბანკის კრედიტით კომერციულ საფუძველზე. საწარმომ ხელშეკრულების საფუძველზე შეიძლება კრედიტი მიიღოს აგრეთვე ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან. მას უფლება აქვს გახსნას საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები ნებისმიერ ბანკში, სხვა საწარმოებთან და ორგანიზაციებთან აწარმოოს როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორება. ნაღდი ანგარიშსწორება სხვადასხვა იურიდიულ პირებთან ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშგებო და საკასო ოპერაციების ჩატარებისათვის დადგენილი წესით.

საწარმო, რომელიც ვერ ასრულებს თავის საანგარიშგებო მოვალეობას, შეიძლება გამოცხადდეს გადახდისუუნაროდ (გაკოტრებულად) საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 28. საწარმოს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობა**

საწარმო დამოუკიდებლად ახორციელებს საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობას საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად. ამ საქმიანობის შედეგად მიღებული სავალუტო ამონაგები ჩაირიცხება საწარმოს სავალუტო ანგარიშზე. სავალუტო მოგებიდან საწარმო იხდის დაწესებულ გადასახადს სახელმწიფო ბიუჯეტში. დარჩენილი სავალუტო მოგება საწარმოს საკუთრებაა და გამოიყენება მისი შეხედულებისამებრ. სახელმწიფო ბიუჯეტში სავალუტო მოგებიდან გადარიცხვების განაკვეთების რეგულირება ხდება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ამტკიცებს იმ პროდუქციის ნუსხას, რომლის ექსპორტზეც წესდება სახელმწიფო მონოპოლია.

საწარმოს უფლება აქვს ისარგებლოს საზღვარგარეთის ბანკების კრედიტით, აგრეთვე კომერციული კრედიტით უცხოურ ვალუტაზე, შეისყიდოს ვალუტა ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან აუქციონებზე და სავალუტო ბირჟებზე კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 29. შრომითი ურთიერთობანი საწარმოში**

დაქირავების შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე წარმოქმნილი შრომითი ურთიერთობანი რეგულირდება ამ კანონით და საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონმდებლობით.

ამხანაგობის წევრობაზე დამყარებული შრომითი ურთიერთობანი რეგულირდება საწარმოს დამფუძნებელი დოკუმენტებით და საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო კანონმდებლობით. თითოეული მუშაკის შრომითი შემოსავალი განისაზღვრება საწარმოს საქმიანობის საბოლოო შედეგებში მისი შრომითი წვლილის შესაბამისად. შემოსავლების მაქსიმალური სიდიდე განსაზღვრული არ არის.

შრომის ანაზღაურების ფორმებს, სისტემებსა და ოდენობას, აგრეთვე შემოსავლების სხვა სახეებს საწარმო განსაზღვრავს დამოუკიდებლად.

მეწარმე, მიუხედავად საწარმოს საკუთრების სახისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა, ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი შრომის ანაზღაურების მინიმუმი, შექმნას შრომისათვის აუცილებელი პირობები და განახორციელოს მუშაკთა სოციალური დაცვა.

**მუხლი 30. საწარმოს სოციალური საქმიანობა**

საწარმო საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის საფუძველზე უზრუნველყოფს თავისი მუშაკების სოციალური გარანტიების დაცვას. საწარმო ვალდებულია უზრუნველყოს თავისი მუშაკებისათვის შრომის უსაფრთხო პირობები. იგი დადგენილი წესით პასუხს აგებს მათი ჯანმრთელობისა და შრომისუნარიანობისათვის მიყენებული ზიანის გამო.

საწარმოს შეუძლია თავის მუშაკებს დამოუკიდებლად მისცეს დამატებითი შვებულება, დაუწესოს შემოკლებული სამუშაო დღე და სხვა შეღავათები.

**მუხლი 31. საწარმოს საქმიანობის აღრიცხვა და ანგარიშგება, კომერციული საიდუმლოება და საქმიანობისადმი კონტროლი**

საწარმო ვალდებულია აწარმოოს აღრიცხვა და ანგარიშგება სახელმწიფო მმართველობის შესაბამისი ორგანოების მიერ დადგენილი წესით. სტატისტიკური ანგარიშგებით გაუთვალისწინებელი მონაცემები საწარმოების მიერ შეიძლება გაცემულ იქნეს ხელშეკრულების საფუძველზე ან იმ ორგანოთა მოთხოვნით, რომელთაც კანონმდებლობით უფლება აქვთ გააკონტროლონ საწარმოთა საქმიანობის ცალკეული სფერო.

საწარმო აქვეყნებს თავისი საქმიანობის შესახებ მონაცემებს წლიური ბალანსის ჩათვლით, საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სახელმწიფო ანგარიშგების დამახინჯებისათვის საწარმოს თანამდებობის პირებს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით ეკისრებათ ადმინისტრაციული, მატერიალური და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

საწარმოს კომერციული საიდუმლოებაა წარმოებასთან, ტექნიკურ ინფორმაციასთან, მართვასთან, ფინანსურ და სხვა სახის საქმიანობასთან დაკავშირებული ის მონაცემები, რომელთა გამოქვეყნებაც ზიანს მიაყენებს საწარმოს ინტერესებს.

იმ მონაცემების გამოყენებისა და დაცვის წესს, რომლებიც წარმოადგენენ საწარმოს კომერციულ საიდუმლოებას, განსაზღვრავს მეწარმე.

საწარმოთა საქმიანობის იმ სახეების ნუსხას, რომელთა შესახებ მონაცემები არ შეიძლება იყოს კომერციული საიდუმლოება, განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დგინდება პასუხისმგებლობა საწარმოს კომერციული საიდუმლოების გამჟღავნებისათვის ან მისი შენახვის წესის დარღვევისათვის.

საწარმოს სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის რევიზია ტარდება წელიწადში ერთხელ მესაკუთრის ინიციატივით.

საწარმოს მიერ საგადასახადო ვალდებულების შესრულებას ამოწმებს საგადასახადო სამსახური, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მისი შემოწმების შედეგების საფუძველზე — სამართალდამცავი ორგანოები. საწარმოს საქმიანობის ცალკეულ მხარეებს ამოწმებენ შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში. შემოწმებათა შედეგები ეცნობება საწარმოს.

საწარმოს უფლება აქვს არ შეასრულოს ამ ორგანოთა მოთხოვნა საკითხებზე, რომლებიც არ შედის მათ კომპეტენციაში და არ გააცნოს მათ მასალები, რომლებიც არ ეხება კონტროლის საგანს.

**მუხლი 32. საწარმოთა პასუხისმგებლობა**

სახელშეკრულებო, საკრედიტო, საანგარიშგებო და საგადასახადო ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის, ისეთი საქონლის რეალიზაციისათვის, რომელთა გამოყენებამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს მოსახლეობის ჯანმრთელობას, ასევე სამეწარმეო საქმიანობისათვის დადგენილი სხვა წესების დარღვევისათვის საწარმო პასუხს აგებს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

საწარმო ვალდებულია აანაზღაუროს მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების არარაციონალური გამოყენებით, გარემოს დაბინძურებით, წარმოების უსაფრთხოების წესებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევით გამოწვეული ყოველგვარი ზარალი.

## კარი V

## საწარმოს მართვა

**მუხლი 33. საწარმოს მართვის საფუძვლები**

საწარმოს მართვა ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობისა და საწარმოს წესდების საფუძველზე. საწარმო დამოუკიდებლად განსაზღვრავს მართვის ორგანოების სტრუქტურას და მათ შესანახ ხარჯებს.

მესაკუთრე თავის უფლებას საწარმოების მართვის სფეროში ახორციელებს უშუალოდ ან მის მიერ უფლებამოსილი ორგანოების (ცალკეული პირების) მეშვეობით.

მესაკუთრეს ან მის მიერ უფლებამოსილ ორგანოს შეუძლია მოახდინოს წარმოების მართვის უფლების სრული ან ნაწილობრივი დელეგირება საწარმოს მართვის იმ უმაღლესი ორგანოსადმი, რომელიც გათვალისწინებულია მის წესდებაში (საბჭო, გამგეობა და ა. შ.).

ცალკეული სახის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოთა მართვა ხორციელდება საწარმოს წესდებით და საქართველოს რესპუბლიკის შესაბამისი კანონმდებლობით.

**მუხლი 34. საწარმოს ხელმძღვანელი**

საწარმოს ხელმძღვანელის დაქირავება (დანიშვნა, არჩევა) წარმოადგენს მესაკუთრის უფლებას. ამ უფლების რეალიზაციას იგი ახდენს უშუალოდ, აგრეთვე მის მიერ უფლებამოსილი იმ ორგანოების მეშვეობით, რომელთაც დელეგირებული აქვთ საწარმოს მართვის უფლება.

სხვადასხვა დამფუძნებლის მიერ შექმნილი საწარმოს ხელმძღვანელის დაქირავება (დანიშვნა, არჩევა) ხდება დამფუძნებელთა ერთობლივი გადაწყვეტილებით, საწარმოს ქონებაში მათი წილობრივი მონაწილეობის გათვალისწინებით.

საწარმოს ხელმძღვანელის დაქირავების (დანიშვნის, არჩევის) დროს მასთან იდება ხელშეკრულება (კონტრაქტი), სადაც მას განესაზღვრება უფლებამოვალეობანი, პასუხისმგებლობა ქონების მესაკუთრისა და საწარმოს მუშაკთა მიმართ, შრომის ანაზღაურების პირობები, კონტრაქტის ვადა, დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების პირობები.

საწარმოს ხელმძღვანელი მინდობილობის გარეშე მოქმედებს საწარმოს სახელით, წარმოადგენს მის ინტერესებს, განაგებს ქონებას, დებს ხელშეკრულებებს (მათ შორის შრომითს), გასცემს მინდობილობებს, ხსნის ბანკებში საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებს; სარგებლობს საწარმოს სახსრების განკარგვის უფლებით, ამტკიცებს შტატებს; გამოსცემს ბრძანებებს, რომელთა შესრულება აუცილებელია საწარმოს ყველა მუშაკისათვის.

## კარი VI

## საწარმოს შექმნისა და მისი საქმიანობის შეწყვეტის ზოგადი პირობები

**მუხლი 35. საწარმოს შექმნის წესი**

საწარმო შეიძლება შეიქმნას ქონების მესაკუთრის (მესაკუთრეების), მის მიერ უფლებამოსილი ორგანოების გადაწყვეტილებით, აგრეთვე საქართველოს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მოთხოვნათა გამო საწარმოთა იძულებითი გაყოფის გზით.

საწარმოს შექმნის წესი და თანამიმდევრობა განისაზღვრება ამ კანონით, ცალკეული სახის საწარმოების შესახებ შესაბამისი კანონებითა და მათი შექმნის მარეგლამენტირებელი ნორმატიული აქტებით.

**მუხლი 36. საწარმოს დამფუძნებელი დოკუმენტები**

საწარმოს დამფუძნებელი დოკუმენტებია წესდება და გადაწყვეტილება საწარმოს შექმნის შესახებ ან დამფუძნებელთა ხელშეკრულება.

წესდებაში მოცემულია საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, დასახელება, იურიდიული სტატუსი, ადგილმდებარეობა, საქმიანობის მიმართულებანი და საგანი, მართვის და კონტროლის ორგანოები, მოგების განაწილებისა და საწარმოს ფონდების წარმოქმნის წესი, საწარმოს რეორგანიზაციის და ლიკვიდაციის პირობები. სხვადასხვა სახის საწარმოთა წესდებაში შესაძლებელია სხვაგვარი მონაცემების შეტანაც. წესდებას ამტკიცებს დამფუძნებელი (დამფუძნებლები).

დამფუძნებელი დოკუმენტების შინაარსი, ფორმა და დამტკიცების წესი განისაზღვრება იმ ნორმატიული აქტებით, რომლებიც ახდენენ ცალკეული სახის საწარმოთა შექმნის რეგლამენტაციას.

**მუხლი 37. საწარმოს სახელმწიფო რეგისტრაცია**

საწარმო დაფუძნებულად ითვლება მისი სახელმწიფო რეგისტრაციის დღიდან. არარეგისტრირებული საწარმოს საქმიანობა აკრძალულია. არარეგისტრირებული საწარმოს შემოსავალი ამოიღება სასამართლოს წესით და შეიტანება ადგილობრივ ან სახელმწიფო ბიუჯეტში.

საწარმოს სახელმწიფო რეგისტრაციას საწარმოს ადგილმდებარეობის მიხედვით ახორციელებენ რაიონის და ქალაქის მმართველობის ორგანოები, ხოლო რაიონული დაყოფის მქონე ქალაქებში — მმართველობის რაიონული ორგანოები.

სხვადასხვა სახის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ბანკებისა და საკრედიტო დაწესებულებების რეგისტრაციას აწარმოებს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი.

იმ შემთხვევაში თუ საწარმო იქმნება სახელმწიფო სახსრებით, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნების ფიზიკური და იურიდიული პირების, საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით, მის რეგისტრაციას ახდენს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანო.

სახელმწიფო რეგისტრაციისათვის საწარმო იხდის სარეგისტრაციო გადასახადს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი ოდენობით. ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მიერ რეგისტრირებულ საწარმოებს სარეგისტრაციო გადასახადი შეაქვთ ადგილობრივ ბიუჯეტში, ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში — რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტში.

საწარმოს სახელმწიფო რეგისტრაციისათვის შესაბამის ორგანოს წარედგინება შემდეგი დოკუმენტები:

დამფუძნებლის (დამფუძნებლების) განცხადება საწარმოს რეგისტრაციაში გატარების შესახებ.

საწარმოს წესდება;

გადაწყვეტილება საწარმოს შექმნის შესახებ ან დამფუძნებელთა ხელშეკრულება;

მოწმობა სარეგისტრაციო გადასახადის გადახდის შესახებ.

გადაწყვეტილება საწარმოს რეგისტრაციაში გატარების ან არგატარების შესახებ მიღებულ უნდა იქნეს ყველა საჭირო დოკუმენტის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

იმ შემთხვევაში, თუ დამფუძნებელ დოკუმენტებში მოხდება ცვლილებები ან შევა დამატებები, აგრეთვე საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლის შემთხვევაში, აუცილებელია საწარმოს ხელახალი რეგისტრაცია ამ მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. საწარმოს ხელახალი რეგისტრაცია აუცილებელია იმ შემთხვევაში, თუ იგი კანონით დადგენილი წესით გაიყიდება, გაიცემა იჯარით ან სხვა წესით გადაეცემა სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ან სახელმწიფოს.

საწარმოს სახელმწიფო რეგისტრაციის მონაცემები რეგისტრაციაში გამტარებელმა ორგანომ ათი დღის განმავლობაში უნდა აცნობოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ უფლებამოსილ იმ ორგანოს, რომელსაც ევალება სახელმწიფო რეესტრის წარმოება.

**მუხლი 38. უარი საწარმოს სახელმწიფო რეგისტრაციაზე**

საწარმოს შეიძლება უარი ეთქვას სახელმწიფო რეგისტრაციაზე იმ შემთხვევაში თუ დამფუძნებელი დოკუმენტები არ შეესა-

(დასასრული მე-3 გვ.)

# საქართველოს რესპუბლიკის კანონი

## სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ

(დასასრული)

ბამება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. სხვა ნებისმიერი მოტივით რეგისტრაციაზე უარის თქმა უკანონოა.

შესაბამისი ორგანო ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან სამი დღის ვადაში წერილობითი ფორმით აცნობოს საწარმოს დამფუძნებელს თავისი გადაწყვეტილება საწარმოს რეგისტრაციაში გატარების ან მასზე უარის შესახებ.

საწარმოს რეგისტრაციაზე უარი შეიძლება გასაჩივრდეს, დამფუძნებელს შეუძლია სასამართლოს წესით აანაზღაუროს ის ზარალი, რომელიც მას მიაყენა შესაბამისი ორგანოს უკანონო გადაწყვეტილებამ.

**მუხლი 39. ნებართვა მიწის ან სხვა სახის ბუნებრივი რესურსების გამოყოფის შესახებ**

იმ შემთხვევაში, როცა საწარმოს საქმიანობისათვის საჭიროა მიწის ნაკვეთის ან სხვა სახის ბუნებრივი რესურსის გამოყოფა, ნებართვას გასცემს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ უფლებამოსილი ორგანო.

მმართველობის აღნიშნული ორგანო იღებს გადაწყვეტილებას მიწის ან სხვა სახის ბუნებრივი რესურსის გამოყოფის შესახებ მეწარმის განცხადების საფუძველზე. მმართველობის ეს ორგანო ვალდებულია განცხადების წარდგენიდან ერთი თვის ვადაში განიხილოს საკითხი მიწის ან სხვა სახის ბუნებრივი რესურსის გამოყოფის შესახებ და მიღებული გადაწყვეტილება წერილობითი ფორმით სამი დღის განმავლობაში აცნობოს საწარმოს დამფუძნებელს.

მმართველობის ორგანოს შეუძლია არ გასცეს მიწა ან სხვა სახის ბუნებრივი რესურსი იმ შემთხვევაში, თუ:

საწარმოს მავნე გავლენა მოსახლეობის ჯანმრთელობაზე და ბუნებაზე აღემატება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილ ეკოლოგიურ და სამედიცინო ნორმებს;

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

საწარმოს დამფუძნებელს უფლება აქვს გაასაჩივროს მმართველობის შესაბამისი ორგანოს გადაწყვეტილება მიწის ან სხვა სახის ბუნებრივი რესურსების გამოყოფაზე უარის შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა.

იმ შემთხვევაში, თუ მიწის ნაკვეთის ან სხვა სახის ბუნებრივი რესურსის გამოყოფიდან ერთი წლის განმავლობაში საწარმო არ იქნება რეგისტრირებული დამფუძნებლის (დამფუძნებლების) მიერ გადაწყვეტილება კარგავს ძალას.

**მუხლი 40. საწარმოს ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია**

საწარმოს ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია შეიძლება მოხდეს მესაკუთრის ან მისი უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებით. საწარმოს ლიკვიდაციის და რეორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს აგრეთვე სასამართლომ და საარბიტრაჟო სასამართლომ საწარმოს გაკოტრების შემთხვევაში.

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში საწარმოს შეიძლება აეკრძალოს საქმიანობა, თუ მან განსაზღვრულ დროში ვერ უზრუნველყო ამ მოთხოვნათა დაცვა.

საწარმო ლიკვიდირებულად ან რეორგანიზებულად ითვლება სახელმწიფო რეგისტრაციის რეესტრიდან მისი ამოღების მომენტიდან.

საწარმოს რეორგანიზაცია შეიძლება მოხდეს საწარმოთა ურთიერთშერწყმის ან მათი გაყოფის გზით. როგორც ურთიერთშერწყმის, ისე გაყოფის შემთხვევაში რეორგანიზებული საწარმოს ქონებრივი უფლებები და მოვალეობები გადადის ახლად შექმნილ საწარმოზე.

საწარმოს ლიკვიდაცია ხორციელდება სალიკვიდაციო კომისიის ან სხვა ორგანოს მიერ, რომელსაც ამ მიზნით ქმნის საწარმოს ქონების მესაკუთრე ან მისი რწმუნებული ორგანო. მათი გადაწყვეტილებით ლიკვიდაცია შეიძლება დაეკისროს თვით საწარმოს მართვის ორგანოსაც.

საწარმოს გაკოტრების შემთხვევაში მისი ლიკვიდაცია ხდება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

სალიკვიდაციო კომისიის (ლიკვიდაციის განმახორციელებელი ორგანოს) დანიშვნის მომენტიდან საწარმო იღებს სალიკვიდაციო საწარმოს სტატუსს: საწარმოს მართვის ორგანოებს ერთმევათ უფლებამოსილება; საწარმოს მართვის ორგანოების ფუნქციებს ასრულებს სალიკვიდაციო კომისია ან ლიკვიდაციის განმახორციელებელი სხვა ორგანო; საწარმოს უფლება ეძლევა განახორციელოს მხოლოდ ისეთი გარიგებები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება სალიკვიდაციო საწარმოს საქმიანობის მარეგლამენტირებელ კანონებს.

მესაკუთრე, სასამართლო ან ის ორგანო, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება საწარმოს ლიკვიდაციის შესახებ, საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტებისა და დამფუძნებელი დოკუმენტების მოთხოვნილებიდან გამომდინარე, ადგენს ლიკვიდაციის წესს და ვადას, რომლის ხანგრძლივობაც როგორც წესი, არ უნდა იყოს ორ თვეზე ნაკლები ლიკვიდაციის შესახებ განცხადების გამოქვეყნების მომენტიდან.

სალიკვიდაციო კომისია ან სხვა ორგანო, რომელიც ახორციელებს საწარმოს ლიკვიდაციას, საწარმოს ადგილმდებარეობის მიხედვით ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში აქვეყნებს განცხადებას ლიკვიდაციის და კრედიტორების პრეტენზიების წარმოდგენის ვადებისა და წესის შესახებ; სალიკვიდაციო კომისია ვალდებულია ამოიღოს საწარმოს დებიტორული დავალიანებები და გამოავლინოს კრედიტორთა პრეტენზიები; იგი აფასებს საწარმოს სახეზე არსებულ ქონებას; ახდენს ანგარიშსწორებას კრედიტორებთან; ადგენს სალიკვიდაციო ბალანსს და წარუდგენს მას მესაკუთრეს ან სალიკვიდაციო კომისიის შემქმნელ ორგანოს.

**მუხლი 41. კრედიტორთა პრეტენზიების დაკმაყოფილება.**

კრედიტორთა პრეტენზიები სალიკვიდაციო საწარმოსადმი კმაყოფილდება ამ საწარმოს ქონებიდან, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ამასთან, უწინარეს ყოვლისა, იფარება ვალდებულება ბიუჯეტის წინაშე.

პრეტენზიების წარმოსადგენად დადგენილი ვადის ამოწურვის შემდეგ გამოვლენილი და წარმოდგენილი პრეტენზიები კმაყოფილდება საწარმოს ქონებიდან, რომელიც დარჩა პირველი რიგის პრეტენზიების, გამოვლენილი პრეტენზიების, აგრეთვე დადგენილ ვადაში განცხადებული პრეტენზიების დაკმაყოფილების შემდეგ.

ქონების უკმარისობის გამო დაუკმაყოფილებელი პრეტენზიები დაფარულად ითვლება. დაფარულად ითვლება აგრეთვე პრეტენზიები, რომლებიც სალიკვიდაციო კომისიამ ან ლიკვიდაციის განმახორციელებელმა სხვა ორგანომ არ ცნო კანონიერად და კრედიტორებმა მას შემდეგ, რაც მიიღეს შეტყობინება პრეტენზიების მთლიანად ან ნაწილობრივ არცნობის შესახებ, ერთი თვის განმავლობაში არ შეიტანეს სარჩელი სასამართლოში ან საარბიტრაჟო სასამართლოში მათი მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის გამო.

საწარმოს ლიკვიდაციის დროს ხორციელდება დროებითი გადასახდელების კაპიტალიზაცია, რომლებიც ამ საწარმოს მართებს მოქალაქისათვის დასახიჩრების, ჯანმრთელობის სხვა დაზიანების მიყენების ან მისი გარდაცვალების გამო.

საწარმოს ლიკვიდაციის დროს მის მუშაკებს კუთვნილი ქონება მიეცემათ ფულადი ფორმით ან ფასიანი ქაღალდებით კრედიტორთა პრეტენზიების დამაყოფილების შემდეგ.

კრედიტორებისა და საწარმოს მუშაკთა პრეტენზიების დაკმაყოფილების შემდეგ დარჩენილი ქონება გამოიყენება მესაკუთრის მითითებისამებრ.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
**ზვიად გამსახურდია.**

თბილისი. 1991 წლის 25 ივლისი.

---

პროექტი

# კანონი

## საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ

ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების სამართლებრივ, ეკონომიკურ, ორგანიზაციულ და სოციალურ საფუძვლებს, პრივატიზების ძირითად პირობებსა და წესს.

კანონის მიზანია სამართლებრივად მოაწესრიგოს და უზრუნველყოს მოქალაქის ან მოქალაქეთა გაერთიანებების და არასახელმწიფო იურიდიული პირების მიერ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების შეძენის პროცესი.

### კარი I

### პრივატიზების საერთო დებულებანი

**მუხლი 1. პრივატიზების ცნება.**

1. პრივატიზება არის მოქალაქეთა, მათი გაერთიანებების და არასახელმწიფო იურიდიული პირების მიერ სახელმწიფო ქონებაზე საკუთრების უფლების შეძენა, რომლის შედეგად ისინი თავის თავზე იღებენ ამ უფლებიდან გამომდინარე ქონებრივ, ფინანსურ და სხვა ვალდებულებებს.

2. პრივატიზების შედეგად სახელმწიფო კარგავს პრივატიზებული ქონების (ობიექტების) ფლობის, სარგებლობის და განკარგვის უფლებებს, ხოლო სახელმწიფო ორგანოები — მათი მართვის უფლებას.

3. საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში სახელმწიფოს შეუძლია შეზღუდოს მოქალაქეთა, მათი გაერთიანებებისა და არასახელმწიფო იურიდიული პირების საკუთრების უფლება პრივატიზებულ ქონებაზე.

**მუხლი 2. საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ**

1. საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზება წესრიგდება ამ კანონის, „საკუთრების საფუძვლების შესახებ“, „საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური სისტემის საფუძვლების შესახებ“, „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ კანონების, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის სხვა კანონებისა და საკანონმდებლო აქტების საფუძველზე.

2. მიწისა და სახელმწიფო საბინაო ფონდის პრივატიზება ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის შესაბამისი საკანონმდებლო აქტების საფუძველზე.

3. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ იმ სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზება, რომელთა მართვას ახორციელებენ საბჭოთა კავშირის სამეურნეო მართვის ორგანოები, ხორციელდება სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

4. საზღვარგარეთის სახელმწიფოთა ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა შესყიდვა ან სახელმწიფო საქციო საზოგადოებათა და ამხანაგობათა საწესდებო კაპიტალში წილის შეძენა (აქციები, პაი) წესრიგდება ამ კანონით, „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ კანონით და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტებით.

**მუხლი 3. პრივატიზების სფერო და ობიექტები**

1. სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზება დასაშვებია მეურნეობის ყველა დარგში.

2. საქართველოს რესპუბლიკის საერთო სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე სახელმწიფო საწარმოთა გარკვეული ნაწილი შეიძლება არ დაექვემდებაროს პრივატიზებას. ასეთი ობიექტების ნუსხას ყოველწლიურად განსაზღვრავს რესპუბლიკის მთავრობა და ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

3. პრივატიზების ობიექტია სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი საწარმო ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომლის პრივატიზების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ან მისი სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანოების მიერ. პრივატიზების ობიექტების ნუსხა აისახება პრივატიზების პროგრამაში, რომელსაც ყოველწლიურად აზუსტებს რესპუბლიკის მთავრობა და ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

**მუხლი 4. პრივატიზების ხელმძღვანელი ორგანო და სახელმწიფო პროგრამა**

1. საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების განმახორციელებელ ხელმძღვანელ ორგანოს წარმოადგენს სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტი.

2. სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტი (შემდგომში კომიტეტი), იქმნება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით; იგი უშუალოდ ექვემდებარება რესპუბლიკის მთავრობას. ავტონომიურ რესპუბლიკებში იქმნება კომიტეტის შესაბამისი ორგანოები, ხოლო პრეფექტურაში — მისი შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფები.

3. საქართველოს რესპუბლიკაში პრივატიზების ერთიანი პოლიტიკის გატარების უზრუნველსაყოფად კომიტეტი:

შეიმუშავებს და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას განსახილველად წარუდგენს პრივატიზების სახელმწიფო პროგრამას, აგრეთვე მასში შესატან ყოველწლიურ დამატებებსა და ცვლილებებს, პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ცალკეული საწარმოების მუშაკთა, აგრეთვე ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა წინადადებებს;

მეთოდურად და ორგანიზაციულად ხელმძღვანელობს, კონტროლს უწევს რესპუბლიკაში პრივატიზების პროცესს, გამოავლენს ამ სფეროში კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებებსა და ფაქტებს, იღებს ზომებს მათ აღსაკვეთად;

ქმნის ავტონომიური რესპუბლიკების და პრეფექტურების შესაბამის სამსახურებთან ერთად სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების კომისიებს, მათი დასკვნების შესაბამისად გასაყიდად გასცემს მოწმობებს პრივატიზებულ საწარმოთა საკუთრების უფლებაზე;

ხელს უწყობს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საინვესტიციო ფონდისა და მისი ადგილობრივი განყოფილებების შექმნას.

ავტონომიური რესპუბლიკები პრივატიზების პროგრამას ადგენენ თავიანთი კანონებისა და რესპუბლიკური კანონის საფუძველზე.

**მუხლი 5. სახელმწიფო საწარმოს პრივატიზებით ამოღებული სახსრების განაწილება და გამოყენება**

1. სახელმწიფო საწარმოს პრივატიზებით ამოღებული სახსრები ჩაირიცხება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების და პრეფექტურების სპეციალურ ანგარიშებზე. პრივატიზებით ამოღებული სახსრების განაწილების თანაფარდობა განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ.

2. პრივატიზების შედეგად ამოღებული სახსრების გამოყენების კონკრეტულ მიმართულებებს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა და ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

**მუხლი 6. გამყიდველები და მყიდველები**

1. საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებაში მყოფი სახელმწიფო საწარმოები, აგრეთვე სახელმწიფო საქციო საზოგადოებებისა და ამხანაგობების საწესდებო კაპიტალის იმ წილის (პაის, აქციის) გამყიდველს, რომელიც საქართველოს რესპუბლიკას ეკუთვნის, წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო საინვესტიციო ფონდი (შემდგომ ფონდი) — სახელმწიფო საფინანსო კომპანია, რომელიც კომერციულ საწყისებზე მოქმედებს. ფონდი იქმნება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით და ექვემდებარება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას.

ფონდი და მისი ადგილობრივი განყოფილებები:

ფლობენ საქართველოს რესპუბლიკის კუთვნილ სახელმწიფო საწარმოთა საკუთრების მოწმობებს, აგრეთვე მოწმობებს სახელმწიფო საქციო საზოგადოებების საწესდებო კაპიტალში გარკვეული წილის (პაის, აქციების) საკუთრების შესახებ, წარმოადგენენ საქართველოს რესპუბლიკის როგორც მესაკუთრის ინტერესებს აქციონერთა საერთო კრებებზე, მათ მფლობელობაში არსებული აქციების ფარგლებში ეწევიან რისკს (კისრულობენ ქონებრივ პასუხისმგებლობას) შესაბამის საწარმოთა კომერციულ საქმიანობაში. ფონდს უფლება არა აქვს ჩაერიოს საწარმოთა საქმიანობაში მეწარმესთან (მმართველთან, დირექტორთან) ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც ამ კანონით, საწარმოს წესდებით ან საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტებით არის გათვალისწინებული;

ყიდიან კუთვნილ პაის, აქციებს, აგრეთვე საწარმოებზე საკუთრების მოწმობებს;

რესპუბლიკის ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად ყიდულობენ საქციო საზოგადოებებისა და ამხანაგობების აქციებს ან პაის;

ანაწილებენ დივიდენდებსა და საწარმოთა პრივატიზებით ამოღებულ სახსრებს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების გეგმისა და პრივატიზების სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად;

სახელმწიფო საქციო საზოგადოებებისა და ამხანაგობების სახელმწიფოს კუთვნილ აქციებს (პაის) ცვლიან კომერციული კომპანიების აქციებზე.

2. საქართველოს რესპუბლიკაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რაიონების (ქალაქების) საკუთრებაში მყოფი სახელმწიფო და მუნიციპალური საწარმოების, აგრეთვე სახელმწიფო საქციო საზოგადოებებისა და ამხანაგობების საწესდებო ფონდის იმ წილის (პაის, აქციების) გამყიდველს, რომელსაც ეს ავტონომიური რესპუბლიკა ან ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რაიონი (ქალაქი) ფლობს, წარმოადგენს სათანადო რესპუბლიკური (ავტონომიური რესპუბლიკა) და რაიონული (საქალაქო) სახელმწიფო საინვესტიციო ფონდი, რომელიც იქმნება ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს გადაწყვეტილებით და ანგარიშვალდებულია მხოლოდ მათ წინაშე.

ეს საინვესტიციო ფონდები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საინვესტიციო ფონდის ანალოგიურ ფუნქციებს, რომლებიც ჩამოთვლილია ამ კანონის მე-6 მუხლის პირველ პუნქტში.

3. სახელმწიფო საწარმოთა, საქციო საზოგადოებებისა და ამხანაგობების საწესდებო კაპიტალში გარკვეული წილის (პაის, აქციების) მყიდველები შეიძლება იყვნენ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეები ან მოქალაქეთა გაერთიანებები, საზღვარგარეთის ქვეყნების ფიზიკური და იურიდიული პირები, აგრეთვე ის არასახელმწიფო იურიდიული პირები, რომელთა საწესდებო კაპიტალში სახელმწიფოს, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საქველმოქმედო და სხვა საზოგადოებრივი ფონდების, რელიგიური ორგანიზაციების წილი შეადგენს 25 პროცენტზე ნაკლებს. სხვა შემთხვევაში ყიდვითი გარიგება ბათილად ჩაითვლება.

4. სახელმწიფო საწარმოს მყიდველები შეიძლება იყვნენ მისი მუშაკები, რომლებიც ამ მიზნით ქმნიან ამხანაგობას და სარგებლობენ კანონით დაშვებული შეღავათებით. ამხანაგობის წევრებად შეიძლება მიღებულ იქნენ ის მოქალაქენიც, რომლებიც ამ საწარმოში არ მუშაობენ.

5. პრივატიზების დროს გამყიდველებსა და მყიდველებს შეუძლიათ იმოქმედონ თავიანთი წარმომადგენლების (ნდობით აღჭურვილი პირების) ან შუამავლების მეშვეობით. ორივე შემთხვევაში გარიგების მონაწილეთა იურიდიული უფლებამოსილება უნდა აკმაყოფილებდეს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

**მუხლი 7. სახელმწიფო საწარმოს შესაძენად საჭირო სახსრების წყაროები**

1. სახელმწიფო საწარმოს, აგრეთვე სახელმწიფო საქციო საზოგადოებების ან ამხანაგობების საწესდებო ფონდის წილის (პაი, აქციები) შესაძენად გამოიყენება მოქალაქეთა პირადი დანაზოგები, სამეურნეო ამხანაგობისა და საზოგადოებების საკუთარი სახსრები, აგრეთვე საწარმოთა ეკონომიკური სტიმულირების ფონდებში დარჩენილი სახსრები. ამავე მიზნით მყიდველებმა შეიძლება გამოიყენონ ნასესხები სახსრებიც.

### კარი II

### პრივატიზების წესი და ფორმები

**მუხლი 8. პრივატიზების შესახებ განცხადების წარდგენა და განხილვა**

1. სახელმწიფო საწარმოს მუშაკები განცხადებას პრივატიზების შესახებ წარადგენენ კომიტეტის ტერიტორიულ ორგანოში. განცხადების ფორმა და გადასახდელად სავალდებულო სახელმწიფო მისაგებელის სიდიდე დგინდება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ. საწარმოს მუშაკთა განცხადება საწარმოს პრივატიზების შესახებ განსახილველად მიიღება იმ შემთხვევაში, თუ მას ხელს აწერს საწარმოს მუშაკთა ნახევარზე მეტი.

2. პრივატიზების შესახებ განცხადებასთან ერთად კომიტეტის ტერიტორიულ ორგანოში შეიძლება წარდგენილ იქნეს აგრეთვე საწარმოს შესყიდვის მსურველთა წინადადებები პრივატიზების შესახებ. გადაწყვეტილებას საწარმოს პრივატიზების შესახებ კომიტეტი იღებს ამ წინადადებათა გათვალისწინებით.

3. განცხადება და წინადადებები სახელმწიფო საწარმოს პრივატიზების შესახებ კომიტეტის მიერ განიხილება მათი შემოსვლიდან 1 თვის განმავლობაში, მიღებული გადაწყვეტილება წერილობით ეცნობება განმცხადებლებს.

4. პრივატიზებაზე უარის თქმა დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ:

მიღებულია კანონით დადგენილი შეზღუდვა მოცემული საწარმოს პრივატიზების გამო;

ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად განმცხადებელი პირი არ შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ობიექტების მყიდველად.

5. თუ განცხადება სახელმწიფო საწარმოს პრივატიზების შესახებ დადგენილ ვადაში არ განხილულა ან განმცხადებელი დაუსაბუთებლად თვლის უარყოფით გადაწყვეტილებას, მას აქვს ამ გადაწყვეტილების სასამართლოში ან საარბიტრაჟო სასამართლოში გასაჩივრების უფლება.

6. პრივატიზების საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში გადაწყვეტილების მიმღები ორგანოები ქმნიან სახელმწიფო საწარმოს პრივატიზების კომისიას.

კომისიის შემადგენლობაში შედიან მესაკუთრის, საწარმოს ადმინისტრაციის, მუშაკთა, საფინანსო ორგანოების, ბანკის, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლები. კომისიას უფლება აქვს შექმნას ექსპერტთა ჯგუფები ცალკეული მიმართულებების მიხედვით. სპეციალისტები და ექსპერტები კომისიაში სამუშაოდ მოიწვევიან შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე, რომელთა ანაზღაურების წესი განისაზღვრება კომისიის გადაწყვეტილებით.

7. კომისია საწარმოს ადმინისტრაციასთან ერთად მყიდველებისა და გამყიდველებისათვის, აგრეთვე საზოგადოებრიობისათვის ამზადებს აუცილებელ ინფორმაციას ამ საწარმოს შესახებ.

8. კომისია ადგენს პრივატიზების პროგრამას, რომელიც მოიცავს: საწარმოს რეორგანიზაციის პროექტს, პრივატიზების ფორმას, საწარმოს საწყისი ფასის დადგენას, ღირებულების გადახდის (ანგარიშსწორების) რეკომენდებულ ფორმას. პრივატიზების პროგრამა შეიძლება ითვალისწინებდეს საწარმოს გარკვეული სტრუქტურული ქვედანაყოფების დამოუკიდებელ საწარმოებად გამოყოფას.

სახელმწიფო ქონების გამგებელი ორგანო კომისიის წარდგინებით ღებულობს გადაწყვეტილებას საწარმოთა ბალანსზე არსებული საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის ცალკეული ობიექტების შესახებ.

მათ მიმართ შეიძლება განხორციელდეს:

მოცემული ობიექტების მიყიდვა საწარმოს მუშაკებისათვის და მოქალაქეებისათვის, სამეურნეო ამხანაგობისა და საზოგადოებებისათვის, რომლებიც იძენენ საწარმოს ქონებას;

მათი უსასყიდლოდ გადაცემა საწარმოს მუშაკებისათვის, მოქალაქეების სამეურნეო ამხანაგობისა და საზოგადოებებისათვის, რომლებმაც შეიძინეს საწარმოს ქონება, აუცილებლობის შემთხვევაში ამ ობიექტების დაფინანსების და ექსპლოატაციის პირობით;

ამ ობიექტების გადაცემა ადგილობრივი მმართველობის ორგანოების და სხვა სახელმწიფო საწარმოების ბალანსზე.

**მუხლი 9. სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების ფორმები**

1. პრივატიზება ხორციელდება საწარმოთა შესყიდვით კონკურსის ან აუქციონის წესით.

2. კონკურსის წესით საწარმოს გაყიდვის მიზანია საწარმოზე საკუთრების უფლება მიანიჭოს იმ მყიდველს, რომელიც შესთავაზებს გამყიდველისათვის ყველაზე უკეთეს პირობებს.

3. აუქციონის წესით საწარმოს გაყიდვის მიზანია საწარმოზე საკუთრების უფლება მიანიჭოს იმ მყიდველს, რომელიც ვაჭრობის პროცესში ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს გამყიდველს.

4. რეკომენდაციებს საწარმოს პრივატიზების ფორმის შერჩევისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ შეიმუშავებს საპრივატიზებო მისია. პრივატიზების ფორმის შერჩევისას შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული:

საწარმოს მუშაკთა აზრი;

მყიდველთა წინადადებები, რომლებიც კომიტეტს წარედგინება სახელმწიფო საწარმოს შესყიდვის განცხადებასთან ერთად;

საწარმოს თავისებურება და მისი როლი რესპუბლიკის ეკონომიკაში;

საწარმოს სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა მოცემული რეგიონისათვის.

5. გადაწყვეტილებას საწარმოთა პრივატიზების ფორმებისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ იღებენ კომიტეტი და მისი ორგანოები. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან და საწარმოთა შრომით კოლექტივებთან შეთანხმებით.

**მუხლი 10. საწარმოთა რეორგანიზაცია პრივატიზების წინ**

1. პრივატიზებისათვის საწარმოს მომზადება გულისხმობს მისი ძირითადი საწარმოო და არასაწარმოო ფონდების ინვენტარიზაციის ჩატარებას, აგრეთვე საწარმოს სტრუქტურულ რეორგანიზაციას იმ მიზნით, რომ მასში შემავალი სტრუქტურული ქვედანაყოფები ეკონომიკურად გამართლებულ საზღვრებში საჭიროების შემთხვევაში გამოცალკევდნენ და გარდაიქმნან დამოუკიდებელ საწარმოებად.

2. საწარმოს ბალანსზე მყოფი სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტები, კომისიის შეხედულებისამებრ, შეიძლება გაიყიდონ ან მუნიციპალურ საკუთრებაში იქნენ გადაცემული კომიტეტსა და ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომელშიც განსაზღვრული იქნება ამ ობიექტების დაფინანსებისა და შენახვის წესი.

**მუხლი 11. პრივატიზებისათვის განკუთვნილი საწარმოს საწყისი ფასის განსაზღვრა**

1. კონკურსის ან ფუნქციონის წესით გაყიდვისათვის საწარმოს საწყისი ფასი შეიძლება განისაზღვროს ორი შესაძლო ვარიანტით: პირველი, გამომდინარე საწარმოს სავარაუდო შემოსავლიანობიდან და მეორე, იმ მოსალოდნელი ამონაგების შეფასებიდან, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნეს საწარმოს ქონების გაყიდვით, მის მიერ დაკავებული მიწის ფართობის გათვალისწინებით.

პირველი ვარიანტი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის და მისი განვითარების პერსპექტივის შეფასების საფუძველზე კომიტეტი არ იღებს გადაწყვეტილებას საწარმოს ლიკვიდაციის შესახებ. ამ შემთხვევაში საწარმოს საწყისი ფასი განისაზღვრება იმ შემოსავლის სიდიდის გათვალისწინებით, რომელსაც სახელმწიფო მიიღებდა საწარმოს სამეურნეო საქმიანობიდან.

შეფასების მეორე ვარიანტი გამოიყენება ქრონიკულად ზარალიანი საწარმოების მიმართ. შეფასების ეს ვარიანტი გამოიყენება აგრეთვე სალიკვიდაციოდ განკუთვნილ საწარმოთა მიმართ. ამ შემთხვევაში შეფასება ხდება ქონების ინვენტარიზაციის შედეგებზე დაყრდნობით და იმ რეალური ფასების საფუძველზე, რომლებიც მოცემულ მომენტში ყალიბდება წარმოების საშუალებათა ბაზარზე.

2. პრივატიზების ობიექტების ღირებულების შეფასების მეთოდურ მითითებებს შეიმუშავებს და ამტკიცებს კომიტეტი.

**მუხლი 12. ინფორმაცია პრივატიზებულ საწარმოთა შესახებ**

1. ინფორმაცია საკონკურსო საწყისებზე გასაყიდად განკუთვნილ სახელმწიფო საწარმოთა შესახებ, აგრეთვე კონკურსის წესით სახელმწიფო საქციო საზოგადოებათა საწესდებო კაპიტალის წილის (პაის) შეძენისა და მათივე აქციების გაყიდვის შესახებ ქვეყნდება პრესაში, ინფორმაცია ქვეყნდება კონკურსის ჩატარების ან აქციების თავისუფალი გაყიდვის დათქმულ თარიღამდე ერთი თვით ადრე.

2. საწარმოს შესახებ გამოქვეყნებულ ცნობებში აუცილებლად შეიტანება: საწარმოს მიერ დაკავებული მიწის ფართობი და მასზე განთავსებულ ნაგებობათა დახასიათება, საწარმოს გაყიდვის პირობები, ძირითადი ფონდების ნუსხა ჯგუფების მიხედვით, წამოწყებულ ინვესტიციათა საპროექტო შეფასება, მათი სავარაუდო ღირებულება, გაწეული ხარჯების სიდიდე, მატერიალურ ფასეულობათა მარაგი, ფულადი სახსრების მდგომარეობა, საწარმოს მფლობელობაში არსებული აქციები ან წილი (პაი) საქციო საზოგადოებების საწესდებო კაპიტალში, არამატერიალური ფასეულობანი (პატენტი, ლიცენზია, სავაჭრო მარკა და სხვ.), საწარმოს ვალდებულებანი (სავაჭრო, საბიუჯეტო, საკრედიტო), საწარმოს ბალანსები სამი უკანასკნელი წლის მიხედვით, მისი წილი გამოშვებული პროდუქციის საშინაო ბაზარზე, კონკურენტუნარიანობის დონე და სხვა. კომიტეტი საჭიროების შემთხვევაში განსაზღვრავს დამატებით მონაცემთა ჩამონათვალს და მათი მიწოდების ფორმას.

3. პრივატიზება ტარდება საჯაროდ: მას საზოგადოებრივ კონტროლს უწევენ საწარმოს მუშაკები, მყიდველები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები.

**მუხლი 13. გადახდის წესი**

შეძენილი საწარმოების ან სახელმწიფო საქციო საზოგადოებათა საწესდებო კაპიტალში წილის (პაის, აქციების) ღირებულების გადახდა შეიძლება ერთბაშად ან განვადებით. გადახდის წესს ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ადგენს გამყიდველი.

**მუხლი 14. სახელმწიფო საწარმოს შეძენა კონკურსის წესით**

გადაწყვეტილებას საწარმოს კონკურსის წესით გაყიდვის შესახებ იღებს კომიტეტი ან მისი ტერიტორიული ორგანო საწარმოს მუშაკებთან და ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით.

კონკურსის ჩატარების წესი განისაზღვრება შესაბამისი დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

**მუხლი 15. სახელმწიფო საწარმოს შეძენა აუქციონზე**

გადაწყვეტილებას საწარმოს აუქციონის წესით გაყიდვის შესახებ იღებს კომიტეტი ან მისი ტერიტორიული ორგანო საწარმოს მუშაკებთან და ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით.

აუქციონის ჩატარების წესი განისაზღვრება შესაბამისი დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

**მუხლი 16. მყიდველთა მიერ სახელმწიფო საქციო საზოგადოებათა და ამხანაგობათა აქციების (პაის) შეძენა**

1. საწარმოთა პრივატიზება აქციების (პაის) გაყიდვის გზით ხორციელდება სახელმწიფო საწარმოთა სახელმწიფო საქციო საზოგადოებებად და ამხანაგობებად წინასწარი გარდაქმნის შემდეგ. გარდაქმნის წესი განისაზღვრება შესაბამისი დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

2. სახელმწიფო საქციო საზოგადოებათა და ამხანაგობათა დამფუძნებლები არიან კომიტეტი და მისი ტერიტორიული ორგანოები, რომლებიც ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს რეგისტრაციისათვის წარუდგენენ განცხადებას სახელმწიფო საქციო საზოგადოების (ამხანაგობის) რეგისტრაციის შესახებ და შესაბამის დოკუმენტებს.

3. სახელმწიფო საქციო საზოგადოების (ამხანაგობის) რეგისტრაციის შემდეგ კომიტეტი მისი აქციების პაკეტს გადასცემს საქართველოს სახელმწიფო საინვესტიციო ფონდს, რომელიც აწყობს მათ გაყიდვას საკონკურსო საწყისებზე: გაუყიდავი აქციები (პაი) რჩება ფონდის განკარგულებაში.

**მუხლი 17. სახელმწიფო საქციო საზოგადოებათა (ამხანაგობათა) მუშაკების მიერ აქციების (პაის) შესყიდვა შეღავათიან პირობებში**

1. სახელმწიფო საქციო საზოგადოებათა (ამხანაგობათა) მუშაკებს უფლება აქვთ შეიძინონ აქციები (პაი) შეღავათიან პირობებში. ამ შემთხვევაში აქციაზე (პაიზე) ფასდაკლება არ უნდა აღემატებოდეს 20 პროცენტს. აქციების (პაის) გამოსყიდვის ვადა არ უნდა იყოს 2 წელზე მეტი საზოგადოების (ამხანაგობის) რეგისტრაციის დღიდან.

2. შეღავათიან პირობებში აქციების (პაის) გამოსასყიდად სახელმწიფო საქციო საზოგადოების (ამხანაგობის) მუშაკებისათვის დასაშვებია გამოყენებულ იქნეს შესაბამისი საწარმოების ეკონომიკური სტიმულირების ფონდში დარჩენილი სახსრები.

3. საწარმოს მუშაკთა გადაწყვეტილებით ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეღავათები შეიძლება გავრცელდეს სახელმწიფო საწარმოს იმ ყოფილ მუშაკებზე, რომლებიც ამ საწარმოდან გავიდნენ პენსიაზე.

4. ამ მუხლით გათვალისწინებული შეღავათები ძალაშია აქციების გაყიდვის დაწყებიდან 1 წლის განმავლობაში. შეღავათიან პირობებში შესყიდული აქციების ხელმეორედ გაყიდვა დაუშვებელია ნასყიდობის რეგისტრაციიდან 2 წლის განმავლობაში.

**მუხლი 18. სახელმწიფო საწარმოთა შეძენა მათი მუშაკების მიერ კონკურსით ან აუქციონზე**

1. კონკურსში (აუქციონზე) სახელმწიფო საკუთრების ობიექტის მყიდველის როლში შეიძლება გამოვიდნენ საწარმოთა მუშაკები იმ შემთხვევაში, თუ წინასწარ ჩამოაყალიბებენ შესაბამის ამხანაგობას.

2. თუ კონკურსის (აუქციონის) მონაწილე ასეთი ამხანაგობა აერთიანებს პრივატიზებული საწარმოს (ან მისი სტრუქტურული ერთეულის) მუშაკთა საერთო რიცხვის ნახევარზე მეტს, მას ეძლევა ობიექტის განვადებით შესყიდვის უფლება. აგრეთვე ეძლევა უფლება ამ მიზნით გამოიყენოს საწარმოს ეკონომიკური სტიმულირების ფონდებში დარჩენილი სახსრების ნაწილი (ამხანაგობაში გაერთიანებული მუშაკების ხვედრითი წილის პროპორციულად).

3. ობიექტის განვადებით გამოსყიდვის უფლებას იძლევა კომიტეტი ან მისი ტერიტორიული ორგანო. განვადება არ უნდა აღემატებოდეს 2 წელს, ხოლო თავდაპირველად შესატანი თანხა არ უნდა იყოს გამოსასყიდი ობიექტის ფასის 50 პროცენტზე ნაკლები.

4. ამხანაგობა, რომელიც აერთიანებს საწარმოს მუშაკთა საერთო რიცხვის ნახევარზე ნაკლებს, კონკურსში (აუქციონზე) მონაწილეობს შეღავათების გარეშე, სხვა მყიდველებთან თანაბარი უფლებებით. იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული ამხანაგობა და სხვა მყიდველები გამყიდველს თავაზობენ თანაბარ პირობებს, ობიექტის შეძენისას პრიორიტეტი ენიჭება ამ ამხანაგობას.

**მუხლი 19. სოციალური გარანტიები პრივატიზებულ საწარმოთა მუშაკებისათვის**

1. მყიდველების მიერ კონკურსით ან აუქციონზე შეძენილი საწარმოები, აგრეთვე სახელმწიფო საქციო საზოგადოებები (ამხანაგობები) პასუხს აგებენ პრივატიზებამდე გაფორმებული შრომითი შეთანხმებიდან გამომდინარე ვალდებულებებზე.

2. პრივატიზებულ საწარმოებზე მყიდველის საკუთრების უფლების გაფორმებიდან 6 თვის ვადაში მეწარმე (მმართველი, დირექტორი) ვალდებულია კოლექტიური ხელშეკრულება გააფორმოს საწარმოს მუშაკებთან ან საწარმოს პროფკავშირულ ორგანიზაციასთან, რომელშიც შეიტანება შრომის ორგანიზაციასთან, ანაზღაურებასა და დაცვასთან დაკავშირებული ვალდებულებები, კოლექტივის სოციალური განვითარებისა და სხვა საკითხები. აღნიშნული 6 თვის განმავლობაში პრივატიზებული საწარმოდან მეწარმის (დირექტორის, მმართველის) ინიციატივით გათავისუფლებულ მუშაკებს ეძლევათ ერთდროული დახმარება კანონით დადგენილი წესით. გათავისუფლებული მუშაკების შრომითი მოწყობა ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

### კარი III

### გარიგებათა გაფორმება. მხარეთა პასუხისმგებლობა. უფლებანი და მოვალეობანი

**მუხლი 20. საპრივატიზებო გარიგებათა გაფორმება**

1. პრივატიზების ფორმებისაგან დამოუკიდებლად სახელმწიფო საწარმოთა, აგრეთვე სახელმწიფო საქციო საზოგადოებათა (ამხანაგობათა) საწესდებო კაპიტალში წილის (პაი, აქციები) გამყიდველსა და მყიდველს შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომელიც შინაარსითა და ფორმით უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო მოთხოვნებს.

2. ხელშეკრულებაში შეიტანება: ცნობები გამყიდველის, მყიდველის და შუამავლის შესახებ, საწარმოს დასახელება და ადგილმდებარეობა, საწარმოს ქონების შემადგენლობა და ფასი, სახელმწიფო საქციო საზოგადოების (ამხანაგობის) აქციების რაოდენობა და ფასი (ან პაის სიდიდე), გადახდის წესი და ვადები; მხარეთა ვალდებულებები საწარმოს შემდგომი გამოყენების შესახებ; სხვა პირობები მხარეთა შეთანხმების მიხედვით.

3. საწარმოზე ან სახელმწიფო საქციო საზოგადოების (ამხანაგობის) საწესდებო კაპიტალის წილზე საკუთრების უფლება გამყიდველიდან მყიდველს გადაეცემა ხელშეკრულების ნოტარიულად რეგისტრაციის მომენტიდან, თუ ამ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

**მუხლი 21. გამყიდველისა და მყიდველის მოვალეობანი**

1. სახელმწიფო საწარმოს ან სახელმწიფო საქციო საზოგადოების (ამხანაგობის) აქციების (წილი, პაი) გამყიდველი ვალდებულია საწარმო მოამზადოს პრივატიზებისათვის, გამოაქვეყნოს განცხადება საწარმოს პრივატიზების შესახებ, მყიდველს მისი მოთხოვნილებისამებრ წარუდგინოს საწარმოს ქონება და დოკუმენტები მისი საფინანსო-სამეურნეო მდგომარეობის შესახებ. გადასცეს საწარმო (პაი, აქციები) და შეასრულოს სხვა ვალდებულებანი თანახმად მყიდველთან დადებული ხელშეკრულებისა.

2. სახელმწიფო საწარმოს მყიდველი ხდება მის ქონებრივ უფლება-მოვალეობათა სრული სამართალმემკვიდრე.

სახელმწიფო საქციო საზოგადოების (ამხანაგობის) აქციების (წილის, პაის) მყიდველი ხდება მის ქონებრივ უფლება-მოვალეობათა ნაწილობრივი სამართალმემკვიდრე, პროპორციულად ნაყიდი აქციების (წილის, პაის) რიცხვისა და საერთო ღირებულებისა.

**მუხლი 22. მესაკუთრეთა უფლებების გარანტიები და დაცვა**

1. პრივატიზების პროცესში სახელმწიფო იძლევა გამყიდველის, მყიდველის, შუამავლისა და სხვა სუბიექტების მხრივ უფლებათა და მოვალეობათა დაცვის გარანტიას. იმ შემთხვევაში, თუ პრივატიზება ჩატარდა ამ კანონის დარღვევით, სახელმწიფო არ იძლევა მყიდველის უფლებათა დაცვის გარანტიას და იღებს ზომებს დადებულ გარიგებათა გასაბათილებლად.

(დასასრული მე-4 გვ.)

კანონი

პროექტი

# საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ

(დასასრული)

2. პრივატიზების პროცესში მესაკუთრეთა უფლებების დაცვა ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 23. პრივატიზების შესახებ გარიგებათა ბათილობა**

1. გარიგებები სახელმწიფო საწარმოთა, აგრეთვე სახელმწიფო სააქციო საზოგადოებათა (ამხანაგობათა) აქციების (წილის, პაის) გაყიდვის შესახებ ბათილად ითვლება თუ:

საწარმოს პრივატიზებაზე არ იყო კომიტეტის ან მისი ტერიტორიული ორგანოს თანხმობა;

უხეშად დაირღვა კონკურსის ან აუქციონის ჩატარების წესი;

მყიდველმა უარი განაცხადა ნაყიდი საწარმოს, აქციების, პაის, წილის ღირებულების განაღდებაზე;

საწარმო, აქციები, წილი, პაი იყიდა სუბიექტმა, რომელსაც არ გააჩნდა ამის უფლება;

ყიდვის დროს გამოყენებულ იქნა გადახდის უკანონო საშუალებები;

გამყიდველი და მყიდველი შეთანხმდნენ არამართლზომიერ განაწილებასა და საწარმოს, აქციების, წილის, პაის, ფასების ხელოვნურად შემცირებაზე;

მყიდველს გაეწია უკანონო შეღავათები და მიეცა არაკანონიერი უპირატესობა სხვა მყიდველებთან შედარებით;

დარღვეულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მოთხოვნები.

2. პრივატიზების გარიგებათა ბათილად ცნობის უფლებრივი და ქონებრივი შედეგები განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

3. დავა პრივატიზების გარიგებათა ბათილად ცნობის შესახებ, აგრეთვე მესაკუთრეთათვის ზარალის მიყენებისა და სხვა ანალოგიური ხასიათის საკითხებზე განიხილება სასამართლო წესით, გამყიდველის, მყიდველის, შუამავლის, პროკურორის ან სხვა უფლებამოსილი პირის სარჩელის საფუძველზე.

**მუხლი 24. პასუხისმგებლობა პრივატიზების შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის**

პრივატიზების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის ქვემოჩამოთვლილ დარღვევათათვის დგინდება შემდეგი სახის პასუხისმგებლობა:

პრივატიზების შესახებ განცხადების მიღებაზე თანამდებობის პირის მიერ უარის თქმა ისჯება ჯარიმით თანამდებობის პირის ორმაგი ხელფასის ოდენობით;

პრივატიზების შესახებ განცხადების განხილვის ვადის დარღვევა ისჯება ჯარიმით 1000-დან 2000 მანეთამდე; გარდა ამისა, ჯარიმის თანხა იზრდება 200 მანეთით ყოველი ვადაგადაცილებული სამუშაო დღისათვის;

პრივატიზების შესახებ განცხადების გამოუქვეყნებლობა, მყიდველების ან შუამავლებისთვის საწარმოს შესახებ არსებული ინფორმაციის დამალვა, მყიდველის ან შუამავლის შეცდომაში შეყვანა გასაყიდი საწარმოს შემადგენლობისა და ფასის საკითხში, ინფორმაციის დამალვა საწარმოს გაყიდვის, აგრეთვე აუქციონისა და კონკურსის შედეგების შესახებ ისჯება ჯარიმით 3 ათასი მანეთიდან 5 ათას მანეთამდე, ხოლო ამ პუნქტში ჩამოთვლილი ცნობების გამოქვეყნება ხდება დამნაშავის ხარჯზე;

დაუსაბუთებელი უარი საწარმოს, აგრეთვე სახელმწიფო სააქციო საზოგადოების (ამხანაგობის) აქციების (პაის, წილის) გაყიდვაზე ისჯება ჯარიმით გასაყიდი ობიექტის საწყისი ღირებულების 2-დან 10%-მდე ფარგლებში.

დაუსაბუთებელი უარი პრივატიზებული საწარმოს მუშაკებთან კოლექტიური ხელშეკრულების დადებაზე ან ამ საწარმოს მუშაკებისათვის სოციალური შეღავათებისა და გარანტიების მიცემის მოთხოვნათა შეუსრულებლობა ისჯება ჯარიმით 2 ათასიდან 20 ათას მანეთამდე;

კონკურსებისა და აუქციონების მონაწილეთა შესახებ ცნობების დროზე ადრე გამჟღავნება ისჯება ჯარიმით 1000-დან 5000 მანეთამდე;

კონკურსის ან აუქციონის წესით ნაყიდი ობიექტის (აქციების, წილის, პაის) ღირებულების გადახდაზე უარის თქმა ისჯება ჯარიმით ამ ობიექტის საწყისი ღირებულების 5-დან 20 პროცენტამდე ოდენობით.

ამ მუხლში ჩამოთვლილ სამართალდარღვევათა შესახებ საქმეებს განიხილავს სასამართლო.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

პროექტი

პირველი მოსმენისათვის

# მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ

**მუხლი 1. პოლიტიკური გაერთიანების ცნება**

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება (პარტია, მოძრაობა, კავშირი, საზოგადოება და სხვა) არის საერთო მსოფლმხედველობრივ და ორგანიზაციულ საფუძველზე მოქალაქეთა ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომელიც ხელს უწყობს ხალხის პოლიტიკური ნების ჩამოყალიბებას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში არჩეული თავისი წარმომადგენლების მეშვეობით ან სხვა დემოკრატიული ფორმებით მონაწილეობს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაში, სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში.

**მუხლი 2. პოლიტიკური გაერთიანების წევრობა**

პოლიტიკური გაერთიანების შექმნისა და მის საქმიანობაში მონაწილეობის უფლება აქვთ 18 წელს მიღწეულ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს, რომლებიც სარგებლობენ საარჩევნო უფლებით.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს შეუძლია იყოს მხოლოდ ერთი პოლიტიკური გაერთიანების წევრი.

დაუშვებელია პოლიტიკური გაერთიანების წევრობის შეზღუდვა ეროვნული, რელიგიური, სქესობრივი ნიშნის მიხედვით.

პოლიტიკური გაერთიანების წევრი ერთდროულად არ შეიძლება იყოს საქართველოს რესპუბლიკის მართლმსაჯულების ორგანოების, საარბიტრაჟო სასამართლოს, პროკურატურის, იუსტიციის სამინისტროს თანამდებობის პირი, კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის შემადგენლობაში შემავალი პირი, შინაგან საქმეთა ორგანოების და შინაგანი ჯარის — ეროვნული გვარდიის პირადი შემადგენლობის წევრი, სახელმწიფო უშიშროებისა და საბაჟოს სამსახურების კადრის მუშაკი. ასევე აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი ორგანოების მუშაკი.

**მუხლი 3. პოლიტიკური გაერთიანების საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები**

პოლიტიკური გაერთიანება, ასრულებს რა თავისი პროგრამითა და წესდებით გათვალისწინებულ ფუნქციებს, მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის, ამ კანონისა და მათ საფუძველზე მიღებული საკანონმდებლო აქტების, აგრეთვე თავისი წესდების შესაბამისად.

ყველა პოლიტიკური გაერთიანება თანასწორია კანონის წინაშე.

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დაუშვებელია სხვა სახელმწიფოთა პოლიტიკური გაერთიანებების, მათი ქვედანაყოფებისა და ორგანიზაციების შექმნა და ფუნქციონირება. პოლიტიკური გაერთიანების ხელმძღვანელი ორგანო მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე უნდა იმყოფებოდეს.

დაუშვებელია ისეთი პოლიტიკური გაერთიანების შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობილების ძალდატანებით შეცვლა, რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, მისი უშიშროებისათვის ძირის გამოთხრა, ომისა და ძალადობის პროპაგანდა, ეროვნული და რელიგიური შუღლის გაღვივება, ასევე სხვა ქმედებანი, რომლებიც ხელყოფენ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმათა მოთხოვნებს.

**მუხლი 4. პოლიტიკური გაერთიანების შექმნა**

პოლიტიკური გაერთიანების შესაქმნელად ამ უფლების მქონე საქართველოს მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფი არანაკლებ 100 კაცის შემადგენლობით ატარებს პოლიტიკური გაერთიანების დამფუძნებელ კრებას.

პოლიტიკური გაერთიანების დამფუძნებელი კრება იღებს პოლიტიკური გაერთიანების წესდებას.

დამფუძნებელი კრების ჩატარების დღიდან ერთი თვის განმავლობაში წესდება გამოსაქვეყნებლად წარედგინება საქართველოს რესპუბლიკის ან ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ბეჭდვით ორგანოს, რომელიც ვალდებულია ათი დღის განმავლობაში გამოაქვეყნოს იგი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკაში — ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზეც.

პოლიტიკური გაერთიანება ლეგალიზებულად ჩაითვლება მისი წესდების გამოქვეყნებიდან მეთხუთმეტე დღეს.

აკრძალულია პოლიტიკური გაერთიანების პირველადი ორგანიზაციების შექმნა საწარმოო ნიშნის მიხედვით სახელმწიფო ორგანოებში, წარმოება-დაწესებულებებში, სასწავლებლებში და ა. შ.

**მუხლი 5. პოლიტიკური გაერთიანების სახელწოდება და სიმბოლიკა**

პოლიტიკური გაერთიანების სახელწოდება და სიმბოლიკა არ შეიძლება ემთხვეოდეს უკვე ლეგალიზებული ანდა ლიკვიდირებული გაერთიანების სახელწოდებასა და სიმბოლიკას, თუ გაერთიანების ლიკვიდაციის დღიდან ერთ წელზე ნაკლებია გასული.

პოლიტიკური გაერთიანება ვალდებულია სახელწოდების, წესდების, პროგრამის ან სიმბოლიკის შეცვლის შემთხვევაში ათი დღის ვადაში გამოსაქვეყნებლად წარუდგინოს ეს ცვლილებები საქართველოს რესპუბლიკის ან ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ბეჭდვით ორგანოს, ხოლო რეგისტრირებულმა გაერთიანებამ აცნობოს ამის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს და წარუდგინოს მას შესაბამისი დოკუმენტები.

ამ კანონის ძალაში შესვლიდან ორი თვის განმავლობაში ვერც ერთი პოლიტიკური გაერთიანება ვერ დაირქმევს ადრე დაფუძნებული გაერთიანების სახელწოდებას.

**მუხლი 6. პოლიტიკური გაერთიანების წესდება**

პოლიტიკური გაერთიანების წესდება ითვალისწინებს:

ა) გაერთიანების სახელწოდებას, აგრეთვე მის შემოკლებულ დასახელებას, თუ იგი გამოიყენება;

ბ) საქმიანობის ძირითად მიზნებსა და მათი მიღწევის საშუალებებს;

გ) ორგანიზაციულ სტრუქტურას, საქმიანობის ტერიტორიულ ფარგლებს;

დ) წევრად მიღებისა და წევრობიდან გასვლის წესს;

ე) წევრის უფლება-მოვალეობებს;

ვ) ყრილობის (კონფერენციის) და სხვა ხელმძღვანელ ორგანოთა მოწვევის წესსა და მათ უფლებამოსილებას;

ზ) ხელმძღვანელი ორგანოების საქმიანობისადმი კონტროლის განხორციელების წესს;

თ) წესდებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის წესს;

ი) სახსრების წყაროებს და მათი გამოყენების წესს;

კ) რეორგანიზაციისა და თვითლიკვიდაციის წესს.

**მუხლი 7. პოლიტიკური გაერთიანების როგორც იურიდიული პირის რეგისტრაცია**

იურიდიული პირის სტატუსის მოსაპოვებლად პოლიტიკური გაერთიანება უფასოდ უნდა იყოს რეგისტრირებული საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში.

პოლიტიკური გაერთიანების რეგისტრაციისათვის საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს წარედგინება გაერთიანების ხელმძღვანელი ორგანოს განცხადება, მისი გადაწყვეტილება, დამფუძნებელი კრების მონაწილეთა სია მათი ხელმოწერებით, ხელმძღვანელობის შემადგენლობის სია და იმ ოფიციალური ბეჭდვითი ორგანოს სათანადოდ დამოწმებული ასლი, რომელშიც გამოქვეყნდა ამ გაერთიანების წესდება.

პოლიტიკური გაერთიანების რეგისტრაციის საკითხს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო განიხილავს საბუთების წარდგენიდან ორი კვირის ვადაში.

პოლიტიკური გაერთიანების რეგისტრაციის შემთხვევაში საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო განხილვიდან 5 დღის ვადაში მისცემს მოწმობას რეგისტრაციის შესახებ, რომელიც გაერთიანებას აძლევს უფლებას იქონიოს თავისი გერბიანი ბეჭედი, ოფიციალური ბლანკი, გახსნას ანგარიში საკრედიტო დაწესებულებაში და ისარგებლოს იურიდიული პირის სხვა უფლებით.

**მუხლი 8. რეგისტრაციაზე უარის თქმა და გასაჩივრების წესი**

პოლიტიკურ გაერთიანებას შეიძლება უარი ეთქვას რეგისტრაციაზე, თუ მისი წესდება ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას ან მოქმედ კანონმდებლობას.

რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო ვალდებულია საკითხის განხილვიდან ხუთი დღის ვადაში წერილობითი პასუხი გასცეს პოლიტიკური გაერთიანების ხელმძღვანელ ორგანოს უარის თქმის საფუძვლის მითითებით.

პოლიტიკურ გაერთიანებას უფლება აქვს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს უარი მის რეგისტრაციაზე ათი დღის ვადაში გაასაჩივროს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში, რომელიც საქმეს განსაკუთრებული წარმოების წესით განიხილავს საჩივრის შეტანიდან ათი დღის ვადაში.

**მუხლი 9. პოლიტიკური გაერთიანების უფლებები**

პოლიტიკური გაერთიანება თავისი ლეგალიზაციის დღიდან საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად იძენს უფლებებს:

ა) წერილობით, სიტყვიერად ან სხვა სახით შეუფერხებლად გაავრცელოს ინფორმაცია თავისი საქმიანობის შესახებ, პროპაგანდა გაუწიოს თავის საპროგრამო იდეებსა და მიზნებს; გააკრიტიკოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების საქმიანობა;

ბ) ისარგებლოს მასობრივი ინფორმაციის სახელმწიფო საშუალებებით;

გ) გამართოს კრებები, მიტინგები, ქუჩაში მსვლელობები და დემონსტრაციები;

დ) დაამყაროს ურთიერთობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სხვა ქვეყნების პოლიტიკურ გაერთიანებებთან და მოძრაობებთან;

ე) მონაწილეობა მიიღოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების, თანამდებობის პირების არჩევნებში, რისთვისაც უნდა შეაგროვოს მხარდამჭერ ამომრჩეველთა ხელმოწერები შესაბამისი კანონით დადგენილი წესითა და რაოდენობით;

ვ) შექმნას კავშირები და ბლოკები, ხოლო საარჩევნო კანონის შესაბამისად რეგისტრაციის შემდეგ — საარჩევნო ბლოკები;

ზ) ამ კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრული წესით რეგისტრაციის შემდეგ ისარგებლოს იურიდიული პირის სტატუსით;

თ) აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებებს.

რეგისტრირებული პოლიტიკური გაერთიანება, ასეთ გაერთიანებათა კავშირი და ბლოკი დამატებით იძენს:

ი) საკანონმდებლო ინიციატივის უფლებას თავისი რესპუბლიკური ორგანოების სახით;

კ) მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დაფუძნების უფლებას;

ლ) სახელმწიფო ორგანოებისაგან თავისი საწესდებო ამოცანების შესასრულებლად საჭირო ინფორმაციის შეუფერხებლად მიღების უფლებას.

**მუხლი 10. პოლიტიკური გაერთიანების საქმიანობის შეჩერება ან მისი აკრძალვა**

პოლიტიკური გაერთიანების წესდების გამოქვეყნების შემდეგ საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს უფლება აქვს მოითხოვოს ამ პოლიტიკური გაერთიანების აკრძალვა ან მისი საქმიანობის შეჩერება.

შესაბამისი განცხადების საფუძველზე პოლიტიკური გაერთიანების აკრძალვის ან მისი საქმიანობის შეჩერების საკითხს წყვეტს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო განსაკუთრებული წარმოების წესით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს შეუძლია აკრძალოს პოლიტიკური გაერთიანება თუ იგი:

ა) ექვემდებარება საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ არსებულ პოლიტიკურ გაერთიანებას ან შეადგენს მის სტრუქტურულ ნაწილს, ანდა მას აფინანსებენ სხვა ქვეყნის სახელმწიფო ორგანოები თუ სხვა ორგანიზაციები;

ბ) მოუწოდებს ან ახორციელებს საქართველოს რესპუბლიკაში არსებული საზოგადოებრივი თუ სახელმწიფო წყობილების ძალადობრივი გზით დამხობას, ეწევა საბოტაჟს ან ხელს უშლის სახელმწიფო ორგანოების ნორმალურ მუშაობას;

გ) მოუწოდებს ან თავისი საქმიანობით ხელს უწყობს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას;

დ) აღვივებს ეროვნულ ან რელიგიურ შუღლსა და მტრობას;

ე) ეწევა ომის პროპაგანდას;

ვ) არღვევს ამ კანონით დადგენილ სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის წესს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს შეუძლია სამი თვით შეაჩეროს პოლიტიკური გაერთიანების საქმიანობა, თუ იგი:

ზ) შექმნილია საწარმოო ნიშნის მიხედვით სახელმწიფო ორგანოებში, წარმოება-დაწესებულებებში, სასწავლებლებში და სხვა, აგრეთვე მისი პირველადი ორგანიზაციები შექმნილია მართლმსაჯულების, საარბიტრაჟო სასამართლოს, პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო უშიშროების, იუსტიციის, საკონსტიტუციო ზედამხედველობის ორგანოებში, საბაჟო სამსახურსა და საჯარისო ფორმირებებში;

თ) ქმნის ან შექმნილი აქვს გასამხედროებული ორგანიზაციები;

ი) არღვევს თავის წესდებას;

კ) არსებობს, ან არსებობდა და საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის განცხადების შეტანიდან არა უმეტეს ერთი წლით ადრე შეწყდა იმავე სახელწოდების ან სიმბოლიკის მქონე სხვა პოლიტიკური გაერთიანების საქმიანობა.

თუ პოლიტიკური გაერთიანება მისი საქმიანობის შეჩერების შემდეგ განმეორებით დაარღვევს მოქმედ კანონმდებლობას, საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს სათანადო განცხადების საფუძველზე შეუძლია შეაჩეროს ამ გაერთიანების საქმიანობა ექვსი თვით, ხოლო თუ პოლიტიკური გაერთიანება ერთი წლის განმავლობაში სამჯერ დაარღვევს მოქმედ კანონმდებლობას, საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს სათანადო განცხადების საფუძველზე შეუძლია აკრძალოს ეს გაერთიანება.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება პოლიტიკური პარტიის საქმიანობის აკრძალვის ან შეჩერების შესახებ გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

პოლიტიკური გაერთიანების აკრძალვის შემთხვევაში მას, როგორც გაერთიანებას, ეკრძალება ყოველგვარი საქმიანობა, ხოლო მისი საქმიანობის დროებითი შეჩერების შემთხვევაში — ამ კანონის მე-9 მუხლის ა), ბ), ზ), თ), ი), კ) და ლ) პუნქტებით მინიჭებული უფლებებით სარგებლობა. მას ეკრძალება აგრეთვე მიტინგების, ქუჩაში მსვლელობების, დემონსტრაციებისა და კრებების გამართვა, გარდა წესდებით გათვალისწინებული გაერთიანების ხელმძღვანელი ორგანოს კრებისა (ყრილობა, კონფერენცია).

თუ პოლიტიკური გაერთიანება, რომლის საქმიანობაც დროებით შეჩერებულია, დარღვევების აღმოფხვრის შესახებ აცნობებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს, იგი ათი დღის ვადაში, ხოლო საარჩევნო კამპანიის პერიოდში 3 დღის ვადაში განიხილავს პოლიტიკური გაერთიანების საქმიანობის შეჩერების მოხსნის საკითხს.

**მუხლი 11. პოლიტიკური გაერთიანების საქმიანობის შეწყვეტა**

პოლიტიკური გაერთიანების საქმიანობის შეწყვეტა შეიძლება რეორგანიზაციის (შერწყმის, შეერთების, გაყოფის, გამოყოფის) ან ლიკვიდაციის გზით.

პოლიტიკური გაერთიანების რეორგანიზაცია ხორციელდება მისი წესდების შესაბამისად. რეორგანიზაციის შემდეგ პოლიტიკური გაერთიანების ლეგალიზაცია და რეგისტრაცია ხდება ამ კანონის მე-4 და მე-7 მუხლებით დადგენილი წესით.

პოლიტიკური გაერთიანების ლიკვიდაცია ხდება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მიერ მისი აკრძალვით, თავისი წესდების შესაბამისად ან თვითლიკვიდაციის გზით.

**მუხლი 12. პოლიტიკური გაერთიანების საქმიანობის უზრუნველყოფა სახელმწიფოს მიერ**

რესპუბლიკაში პოლიტიკური გაერთიანებებისათვის მატერიალური ბაზის შექმნის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში რეგისტრირებულ პოლიტიკურ გაერთიანებებს ყოველწლიურად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიზნობრივი დანიშნულებით გამოეყოფათ თანხა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ დადგენილი ოდენობით, რომლის 20 პროცენტიც თანაბრად ნაწილდება იუსტიციის სამინისტროს მიერ რეგისტრირებულ პოლიტიკურ გაერთიანებებს შორის, ხოლო 80 პროცენტი — არჩევნების დამოუკიდებლად მონაწილე გაერთიანებებს და საარჩევნო ბლოკებს შორის მათ მიერ მოპოვებული ამომრჩეველთა ხმების რაოდენობის პროპორციულად.

რეგისტრაციიდან ორი თვის ვადაში სახელმწიფო კანონით დადგენილი საფასურით გამოუყოფს პოლიტიკური გაერთიანების რესპუბლიკურ ორგანოს მისი საქმიანობისათვის აუცილებელ სადგომს.

არჩევნების მონაწილე პოლიტიკური გაერთიანებების დაფინანსება ხდება შესაბამისი კანონების საფუძველზე.

**მუხლი 13. იურიდიულ პირად რეგისტრირებული პოლიტიკური გაერთიანების საკუთრება**

პოლიტიკურ გაერთიანებას შეიძლება საკუთრებაში ჰქონდეს შენობა-ნაგებობები, მოწყობილობები, გამომცემლობები, სტამბები, სატრანსპორტო საშუალებები და სხვა ქონება, რომელიც საჭიროა წესდებით გათვალისწინებული ამოცანების შესასრულებლად.

პოლიტიკური გაერთიანების ფულადი სახსრები იქმნება საწევრო შენატანების, საგამომცემლო საქმიანობისა და გაერთიანების სიმბოლიკის დამზადებითა და გავრცელებით მიღებული შემოსავლის, მოქალაქეთა და საზოგადოებრივ გაერთიანებათა შემოწირულობების, სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხისაგან.

პოლიტიკურ გაერთიანებას არა აქვს უფლება ეწეოდეს სხვა სამეურნეო ან კომერციულ საქმიანობას.

პოლიტიკური გაერთიანების სიმბოლიკის გამოყენება დაუშვებელია გაერთიანების ნებართვის გარეშე.

სახელმწიფო ორგანოებსა და ორგანიზაციებს, წარმოება-დაწესებულებებს არა აქვთ უფლება რაიმე ფორმით დააფინანსონ პოლიტიკური გაერთიანება, გაერთიანებათა კავშირები და ბლოკები.

პოლიტიკურ გაერთიანებას უფლება არა აქვს მიიღოს ის თანხები და ქონება, რომელიც გამოყოფილია სხვა ქვეყნების სახელმწიფო ორგანოების, ორგანიზაციების ან ფონდების მიერ.

პოლიტიკური გაერთიანების მიერ უკანონო გზით მიღებული ქონება სასამართლოს გადაწყვეტილებით გადაიცემა საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებაში.

**მუხლი 14. პოლიტიკური გაერთიანების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის კონტროლი**

პოლიტიკური გაერთიანების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობას კონტროლს უწევენ საქართველოს რესპუბლიკის საფინანსო, საკონტროლო დაწესებულებანი.

იურიდიულ პირად რეგისტრირებული პოლიტიკური გაერთიანება ყოველწლიურად, არა უგვიანეს თებერვლისა, საფინანსო დაწესებულებას წარუდგენს დეკლარაციას წლიური საფინანსო საქმიანობის შესახებ; იუსტიციისა და ფინანსთა სამინისტროების მიერ დადგენილი ფორმით საჯაროდ აქვეყნებს ანგარიშს პოლიტიკური გაერთიანების ბიუჯეტის წყაროებისა და შემოსავალ-გასავლის შესახებ.

## სტუმრად ოსტატთან

**სსრ** კავშირში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში მ. ს. გორბაჩოვი და ჯ. ბუში მეუღლეებითურთ ეწვივნენ სსრ კავშირის სახალხო მხატვრის ზურაბ წერეთლის სახელოსნოს. იგი არის ავტორი ნიუ-იორკში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობის წინ დადგმული სკულპტურული კომპოზიციისა — „გიორგი ძლევამოსილი სპობს „პერშინგ" და სს-20 რაკეტებს". მონუმენტი, საბჭოთა პრეზიდენტის აზრით, გახდა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ახალი ურთიერთობის, ფაქტობრივი ბირთვული განიარაღების ისტორიული დაწყების ერთ-ერთი სიმბოლო.

სახელოსნოში შეხვედრის წინ მხატვარმა ინტერვიუ მისცა საქდესის კორესპონდენტს. ადამიანებისათვის სიკეთის ქმნა ჩემი ცხოვრებისეული პრინციპია. ჩემი აზრით, ჯორჯ ბუშის ვიზიტი სსრ კავშირში ისტორიული გახდება, ძნელია გადაჭარბებით შეაფასო იმ ხელშეკრულების მნიშვნელობა, რომელიც დაიდება მოსკოვში. მ. ს. გორბაჩოვი და ჯ. ბუში დიდ საქმეს აკეთებენ ქვეყნად მშვიდობისა და ადამიანთა ბედნიერებისათვის. მხატვარმა აღნიშნა, რომ გიორგი ძლევამოსილის კომპოზიცია („ბოროტსა სძლია კეთილმან") ამერიკის შეერთებულ შტატებში მისი პირველი ნაწარმოები როდია. 70-იანი წლების დამლევს ნიუ-იორკში დაიდგა ოსტატის ორი ქანდაკება „მსოფლიოს ბავშვებს" და „პრომეთე". ახლა მთავრდება მუშაობა კომპოზიციაზე „ახალი ადამიანის დაბადება". მხატვრის ჩანაფიქრით, ადამიანი ამსხვრევს „რკინის ფარდას", რომელიც მრავალი წლის მანძილზე ყოფდა აღმოსავლეთსა და დასავლეთს, და მოუწოდებს ადამიანებს ენდონ ერთმანეთს. ნავარაუდევია ქანდაკება დაიდგას სტადიონებს შორის ატლანტაში, სადაც 1996 წელს გაიმართება ოლიმპიური ასპარეზობა.

მხატვრის სახელოსნოში ყველაზე საპატიო ადგილას ახლა დევს სკულპტურული კომპოზიციის მოდელი. როგორც ზურაბ წერეთელმა თქვა, ამ ნაწარმოებს იგი უძღვნის დიდი მეზღვაურის კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენის 500 წლისთავს.

**გ. ვინიცკაია,**
**საქდესის კორ.**

**სურათზე:** ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში სსრ კავშირის სახალხო მხატვრის ზურაბ წერეთლის სახელოსნოში.

**საქდეს-საქინფორმის ტელეფოტო.**

## გამოსათხოვარი

## რომან დავითის ძე კასრაძე



**მოულოდნელად გარდაიცვალა ნიჭიერი ხელმძღვანელი და საუკეთესო მოქალაქე — რომან დავითის ძე კასრაძე.**

ბატონი რომან კასრაძე დაიბადა 1942 წლის 18 იანვარს ბათუმში. სანიმუშო იყო მისი შეგნებული ცხოვრების გზა. ბათუმის № 2 საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო მოსკოვის საინჟინრო ინსტიტუტში და დაამთავრა ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციით.

1964 წლიდან იწყება რომან კასრაძის შრომითი ბიოგრაფია. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში ის სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მხრივ სამშენებლო დაწესებულებებში მუშაობდა ოსტატად, ინჟინრად, მთავარ ინჟინრად. ამ ხნის მანძილზე რომან კასრაძემ შეიძინა მდიდარი ცხოვრებისეული გამოცდილება და ჩამოყალიბდა, როგორც საუკეთესო ინჟინერი და თანამედროვე ხელმძღვანელი.

1985 წლიდან რომან კასრაძე აქტიურ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას ეწევა. მას ირჩევენ სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს წევრად და ინიშნება ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის სამმართველოს უფროსად. ამ თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში რომან კასრაძემ გამოავლინა ადამიანებთან ურთიერთობის საუკეთესო თვისებები. მას აწინაურებენ ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ. რომან კასრაძემ გაამართლა ქალაქის ფართო საზოგადოებრიობის ნდობა. მის პიროვნებაში ორგანულად შეერწყა ერთმანეთს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მშვიდი ბუნება და ხელმძღვანელის პრინციპულობა, პიროვნული თავმდაბლობა და სხვა საქმიანი თვისებები. იყო საუკეთესო მეგობარი და ამავე დროს პრინციპული, მომთხოვნი, როგორც საკუთარი თავის, ასე სხვების მიმართ. რომან კასრაძემ შედარებით მოკლე დროში სასიკეთო ძვრებს მიაღწია სახალხო მეურნეობის ისეთ ძნელ და რთულ დარგში, როგორიცაა ქალაქის კომუნალური სამსახური. ის პირადად მონაწილეობდა მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებაში. რომან კასრაძე თავს კარგად მაშინ გრძნობდა, როცა საქმე წინ მიდიოდა. ამის გამო ის არასდროს არ ესწრაფოდა ადამიანებისაგან გაუცხოებას და მის ხასიათს არ მიკარებია კომუნისტური რეჟიმისათვის დამახასიათებელი ბიუროკრატიული სინდრომი. იგი მთელი არსებით შეუერთდა საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების ჯანსაღი პრინციპებისადმი ერთგულებით რომან კასრაძე ბოლომდე დარჩა საზოგადოების ღირსეულ შვილად. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის 1991 წლის 14 ივნისის ბრძანებულებით ბატონი რომან კასრაძე დაინიშნა ბათუმის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად. ქალაქის საზოგადოებრიობა კმაყოფილებით შეხვდა რომან კასრაძის ამ ახალ დაწინაურებას. სამწუხაროდ, მას არ დასცალდა ამ საპატიო თანამდებობაზე ხელმძღვანელის ახალი თვისებების სრული გამოვლინება.

წავიდა ჩვენგან უაღრესად ნათელი პიროვნება და დაგვიტოვა სახალხო საქმისათვის თავდადებული მოღვაწის სანიმუშო მაგალითი.

**ზვიად გამსახურდია, აკაკი ასათიანი, თენგიზ სიგუა, ასლან აბაშიძე, გურამ ვარშალომიძე, ზაურ ფატლაძე, სულიკო ინაიშვილი, ნანა გუგუნავა, ნოდარ თამაზაშვილი, ნუნუ ფირცხალაიშვილი, ანზორ გოგიტიძე, იური ბიბილეიშვილი, აზიზ ახვლედიანი, ალი სამსონია, არჩილ მიქელთაძე, ჯემალ ქათამაძე, ალექსანდრე გოგრონიძე, ფრიდონ ხალვაში, ალექსანდრე ჩხაიძე, შოთა ოქროპირიძე, ანზორ თხილაიშვილი, თამაზ ასანიძე, სანდრო ბერიძე, შოთა ფუტკარაძე, რევაზ ქონიაძე, შოთა ზოიძე.**

გამოხმაურება

# საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების შესახებ

**სამწუხაროდ,** კომუნისტურმა სისტემამ საზოგადოებრივ მეცნიერებებში მეტად ცუდი მემკვიდრეობა და ტრადიციები დაგვიტოვა. ყველას, ვინც სტუდენტი იყო, ალბათ, კარგად ახსოვს, რამდენად ფორმალური და უაზრო იყო მარქსისტული ფილოსოფიის, მეცნიერული კომუნიზმისა და პოლიტიკური ეკონომიის სწავლება. სამწუხაროდ, დღესაც ჯერჯერობით იგივე გრძელდება. აღარ ახსენებენ მარქსიზმის კლასიკოსებს, მათ ნაშრომებს, მაგრამ სასწავლო საგნების არსი და შინაარსი ძველი, მარქსისტული რჩება. ლაპარაკობენ ყოფიერებისა და ცნობიერების ურთიერთობაზე, მარქსისტული ონტოლოგიისა და გნოსეოლოგიის პრინციპებზე, საზოგადოების განვითარების კანონებზე, კლასებზე, პოლიტიკურ სისტემაზე, ზედმეტ ღირებულებებზე, კაპიტალზე და ა. შ. და, ალბათ, ზოგიერთი ლექტორი ცინიკურად ზემოთ ჩამოთვლილ საკითხთა ფონზე ჩვენი ეროვნული მოძრაობის პრობლემებსაც განიხილავს. დგება ვითომდა ახალი პროგრამები, იწერება სახელმძღვანელოები, რომელთა მიზანი ერთია — მარქსიზმის, მარქსისტული ტრიადის მოდერნიზაცია. პრესაში კი განუწყვეტლივ მიმდინარეობს მარქსიზმის მოდერნიზაციის პოპულარიზაცია.

საწინააღმდეგო თვალსაზრისი პრესაში მხოლოდ ერთმა ავტორმა გამოთქვა. მხედველობაში მაქვს ბატონ ზურაბ გაგნიძის სტატიები: „ეროვნული თავისუფლებისათვის" („თბილისი", 1991 წ. 8 თებერვალი), „ეს აუცილებელია" („საქართველოს რესპუბლიკა", 1991 წ. 15 თებერვალი), „ჩავაყენოთ ერის სამსახურში" („სოფლის ცხოვრება", 1991 წ. 5 მარტი), „დავიბრუნოთ ჩვენი ისტორია" („სოფლის ცხოვრება", 1991 წ. 19 მარტი). აღნიშნულ სტატიებში დასაბუთებულია საზოგადოებრივი მეცნიერებების, კერძოდ, პოლიტოლოგიის თვისებრივი ტრანსფორმაციის და ეროვნულ საწყისზე დაფუძნების აუცილებლობა, ნაჩვენებია, რომ პოლიტოლოგია უნდა ემსახურებოდეს ქართველი ერის საარსებო მოთხოვნილებებს და მიზნებს, ჩამოყალიბებულია პოლიტოლოგიის საწყისი პროგრამა. ბატონ ზურაბ გაგნიძის აზრით, პოლიტოლოგია პროფესიონალმა ფილოსოფოსებმა უნდა დააფუძნონ ეროვნული ფილოსოფიის წიაღში.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა თვისებრივი ტრანსფორმაციის პირველი ეტაპი ეროვნული ფილოსოფიის აღორძინება უნდა იყოს, რაც დაეყრდნობა ქრისტიანული ფილოსოფიის დასავლურ და ქართულ ტრადიციებს, მე-20 საუკუნის ქართულ მეტაფიზიკას. ფილოსოფიის კურსი სამი განყოფილებისაგან შეიძლება აიგოს: 1) მეტაფიზიკა, 2) ანალიტიკური ფილოსოფია, 3) სოციალური ფილოსოფია.

ეროვნულ ფილოსოფიაში უნდა გამოიკვეთოს ქართველი ერის წარმოშობის ძირები, მისი ძირითადი მიზანი და სულიერი მისია ღმერთთან და სამყაროსთან მიმართებაში. ამასთან ფილოსოფიის კურსში ლექტორმა დამატებით უნდა წარმოადგინოს იმ შესაბამისი სპეციალობის ზოგადთეორიული და მეთოდოლოგიური მხარე, რომელსაც ეკითხება ფილოსოფიის კურსი. ჩემი აზრით, საზოგადოებრივი დისციპლინებიდან ყველა უმაღლესი სასწავლებლისათვის და სპეციალობისათვის სავალდებულო მხოლოდ ფილოსოფიის კურსი და ფილოსოფიაზე დაფუძნებული ეროვნული პოლიტოლოგია უნდა იყოს. მნიშვნელოვანი ზოგადეკონომიკური საკითხები შეიძლება სოციალური ფილოსოფიის განყოფილებაში იქნეს წარმოდგენილი.

**მამუკა ბელაშვილი,**
**თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის დოცენტი, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი**

**მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი**

მისამართი: 380096, თბილისი, ნ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26;
წერილების რედაქცია 99-73-24.
იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო
კომბინატში, ბოშარაულის ქ. № 29.
ინდექსი 64434

საქართველოს რესპუბლიკა